

განათლების
სტანდარტული
კლასიფიკაცია

ISCED - 1997

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -
სტატისტიკის დეპარტამენტი

თბილისი 2006

სარედაქციო ჯგუფი:

ვ. მაღნარაძე
ა. ვადაჭკორია
მ. მინდორაშვილი

კლასიფიკაციაზე მუშაობდნენ:

ჯ. ბერაია
ნ. ბასარია
გ. მამნიაშვილი

მთარგმნელი

ა. გვარჯალაძე

განათლების სტანდარტული კლასიფიკაცია

სტატისტიკური პუბლიკაცია

© საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
- სტატისტიკის დეპარტამენტი 2006

საქართველო, 0115 თბილისი, პეკინის ქ. 4
ტელეფონი: (+995 32) 33 22 73 ან 33 59 83
ფაქსი: (+995 32) 33 22 97
ელექტრონული ფოსტა: info@statistics.gov.ge

ISBN 99940-67-97-4



ეს გამოცემა თანადაფინანსებულია ევროკავშირის პროგრამა ტასისის მიერ.

This publication is co-financed by the European Union's TACIS programme.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	4
მასშტაბი და გავრცელების არეალი	6
რას მოიცავს ISCED-ი?	6
როგორ გამოვიყენოთ ISCED-ი?	7
„განათლების პროგრამის“ კონცეფცია ISCED-ში	8
ISCED-ის გამოყენება განათლების სისტემის გარე პროგრამებთან მიმართებაში	9
ჯვარედინი საკლასიფიკაციო ცვლადები	10
I. განათლების საფეხურები	11
როგორ დავადგინოთ საფეხური პროგრამის საფუძველზე	11
როგორ გამოვიყენოთ ირიბი (გაშუალებული) კრიტერიუმები პრაქტიკაში	12
საფეხური 0 – დაწყებითამდელი განათლება	15
საფეხური 1 – დაწყებითი განათლება ანუ საბაზო განათლების პირველი ეტაპი	17
საფეხური 2 – საშუალო განათლების პირველი ეტაპი, ანუ საბაზო განათლების მეორე ეტაპი	19
საფეხური 3 – საშუალო განათლების მეორე ეტაპი	22
საფეხური 4 – საშუალოს შემდგომი, არაუმაღლესი განათლება	24
საფეხური 5 – უმაღლესი განათლების პირველი ეტაპი	26
საფეხური 6 – უმაღლესი განათლების მეორე ეტაპი	31
II. გაფართოებული ჯგუფები და განათლების სფეროები	32
განმარტებითი ლექსიკონი	37

წინასიტყვაობა

განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED), დამუშავდა იუნესკოს მიერ 70-იანი წლების დასაწყისში იმ მიზნით, რათა „ხელი შეუწყოს განათლების შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით შეგროვებას, თავმოყრასა და გადმოცემას“. კლასიფიკაცია მიღებულ იქნა განათლების საერთაშორისო კონფერენციის მიერ (ჟენევა, 1975 წ.) და დამტკიცდა იუნესკო-ს გენერალური კონფერენციაზე მას შემდეგ, რაც მეოცე სესიაზე (პარიზი 1978 წ.) მიიღეს განახლებული რეკომენდაცია სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტიზაციის შესახებ განათლების სფეროში.

ეროვნული მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (იუნესკო-ს ჩათვლით) ISCED-ის გამოყენების მრავალწლიანი გამოცდილება მიგვანიშნებს მისი განახლებისა და გადახედვის აუცილებლობაზე, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს განათლებაში საერთაშორისო დონეზე მონაცემთა დაჯგუფება და შედარება, აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში განათლების სფეროში მიმდინარე ახალი ტენდენციებისა და ცვლილებების აღრიცხვის ხელშეწყობა, როგორცაა:

- პროფესიული განათლებისა და კადრების მომზადების სხვადასხვა ფორმების გაფართოება;
- განათლების დაწესებულებების მზარდი მრავალფეროვნება;
- დისტანციური და თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სხვა საგანმანათლებლო შესაძლებლობების უფრო ფართო გამოყენება.

მოცემული კლასიფიკაცია, ცნობილი როგორც ISCED-1997, დამტკიცდა 1997 წლის ნოემბერში გენერალური კონფერენციის 29-ე სესიაზე. წარმომადგენლობითი კონსულტაციების შედეგად იგი მომზადდა გენერალური დირექტორის მიერ შექმნილმა საერთაშორისო მიზნობრივი ჯგუფის მიერ. ISCED-1997 მოიცავს ორ ჯვარედინ საკლასიფიკაციო სისტემას: განათლების საფეხურებს და სფეროებს.

ახალი სტანდარტების გათვალისწინებით კორექტირებული იუნესკო-ს მონაცემთა შეგროვების პროგრამა წევრ-ქვეყნებს სთავაზობს მის გამოყენებას განათლების სფეროში სტატისტიკური მონაცემების წარდგენის დროს საერთაშორისო შესადარისობის ამაღლების მიზნით.

შესავალი

1. ISCED-ი წარმოადგენს განათლებაში სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დაჯგუფებისა და შესადარი მაჩვენებლების ფორმირების საშუალებას, როგორც ცალკეული ქვეყნის ჩარჩოებში, ასევე საერთაშორისო ასპექტში. ის შეიცავს სტანდარტულ კონცეფციებს, განსაზღვრებებსა და კლასიფიკაციებს. ISCED-ი მოიცავს ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოწიფულთა სწავლების ყველა შესაძლებლობას, რომელიც ატარებს ორგანიზებულ და უწყვეტ ხასიათს განსაკუთრებულ საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა მქონე მოსწავლეების ჩათვლით, მიუხედავად სასწავლებლის ან სასწავლო დაწესებულების ტიპისა, რომელშიც უზრუნველყოფილია ამგვარი სწავლება, ან ფორმისა, რომლითაც ხორციელდება განათლება.
2. ISCED-ი წარმოადგენს მრავალმიზნობრივ სისტემას, რომელიც განკუთვნილია განათლების სფეროში პოლიტიკის ანალიზისა და გადაწყვეტილების მისაღებად, მიუხედავად ნებისმიერი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურისა ან მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონისა. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს განათლების სხვადასხვა ასპექტების სტატისტიკური მონაცემებისათვის, როგორცაა მოსწავლეთა კონტინგენტი, ან განათლებაში დაბანდებული ადამიანური და ფინანსური რესურსები და მოსახლეობის განათლების დონე. ISCED-ის საბაზო კონცეფცია და განსაზღვრებანი უნივერსალურია ანუ დამოუკიდებელია რომელიმე ეროვნული განათლების სისტემისაგან, თუმცა საერთო სისტემა უნდა შეიცავდეს განსაზღვრებებსა და მითითებებს საგანმანათლებლო სისტემებთან დაკავშირებულ საკითხთა მთელი წრიდან.
3. ISCED-ის თავდაპირველი ვარიანტში გამოყენებული იყო საგანმანათლებლო პროგრამების კლასიფიკაცია მათი შინაარსის მიხედვით, ამასთან, ორი მიმართულებით: განათლების საფეხურისა და განათლების სფეროების მიხედვით. ეს ორი მიმართულება, რომლებსაც ეწოდება „ჯვარედინი საკლასიფიკაციო ცვლადები“, შენარჩუნებულია განახლებულ კლასიფიკაციაშიც. ISCED-ის თავდაპირველი ვარიანტის გამოყენების გამოცდილების გათვალისწინებით ქვეყნების უმეტესობაში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, განათლების საფეხურთა პროგრამების კლასიფიკაციის წესები და კრიტერიუმები განიმარტა და დაზუსტდა, განათლების სფეროები კი დაექვემდებარა შემდგომ დამუშავებას.
4. ISCED-ის შესაბამისად შეგროვებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს განათლების ბევრ სხვადასხვა ასპექტში, რომელიც წარმოადგენს ინტერესს გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის, აგრეთვე სხვა მომხმარებლებისათვის. თუმცა ISCED-ი შეიძლება ყველაზე მარტივად გამოყენებულ იქნეს მონაცემების შეგროვებისთვის სასწავლო დაწესებულებებში შემსვლელებთან მიმართებაში, აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ეს სისტემა არის საგანმანათლებლო პროგრამების კლასიფიკაცია და არ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა მოსწავლეთა/სტუდენტთა კონტინგენტი და მათი ნაკადები საგანმანათლებლო სისტემაში (იხ. პუნქტი 22). მოსახლეობის განათლების დონის მონაცემთა მოპოვებისათვის საჭირო იქნებოდა ISCED-ის შესაბამისად ადაპტირება; საკითხი ამგვარი ადაპტაციის შესახებ უფრო დეტალურად იქნება გადმოცემული ოპერატიულ სახელმძღვანელოში.

5. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მომზადდება ოპერატიული სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს მითითებებს ISCED-ის განახლებული ტექსტის განმარტებებთან და გამოყენებასთან მიმართებაში, თვით ISCED-ის განახლებული ტექსტი შეკვეცილია მინიმუმამდე და სტრუქტურულად შედგება ხუთი ნაწილისაგან:

- I. რას მოიცავს ISCED-ი?
- II. როგორ მოქმედებს ISCED-ი?
- III. „განათლების პროგრამის“ კონცეფცია ISCED-ში
- IV. ISCED –ის გამოყენება განათლების სისტემის გარე პროგრამებთან მიმართებაში
- V. ჯვარედინი საკლასიფიკაციო ცვლადები
 - I. – განათლების საფეხურები
 - II. – განათლების გაფართოებული ჯგუფები და სფეროები

მასშტაბი და გავრცელების არეალი

რას მოიცავს ISCED-ი?

6. ISCED-ის ამოცანა არ მდგომარეობს იმაში, რომ მოგვცეს განათლების ახალი ან ყოვლისმომცველი განსაზღვრება და მითუმეტეს იმაში, რომ თავს მოგვახვიოს განათლების მიზნებისა და შინაარსის, ან მისი კულტურული ასპექტების ფილოსოფიური კონცეფციების საერთაშორისო სტანდარტები. რამეთუ ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში კულტურული ტრადიციების, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და სოციალ-ეკონომიკური პირობების ურთიერთქმედება იწვევს განათლების იმგვარი კონცეფციის აღმოცენებას, რომელიც მისადაგება მხოლოდ მოცემულ ქვეყანას. სწორედ ამიტომ ზოგადი განსაზღვრების თავს მოხვევის ნებისმიერი მცდელობა უშედეგო იქნებოდა. თუმცა, ISCED-ის მიზნებისათვის აუცილებელია განისაზღვროს ამ კლასიფიკაციაში მოქცეული საგანმანათლებლო საქმიანობის მასშტაბი და მოცვა.
7. ISCED-ის მიზნებისათვის ტერმინი „განათლება“ გულისხმობს ნებისმიერ მიზანმიმართულ და სისტემატურ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას სწავლაში. აქვე შედის ისიც, რასაც რიგ ქვეყნებში უწოდებენ კულტურულ ღონისძიებებს ან ტრენინგს. როგორც არ უნდა ეწოდებოდეს, "განათლება" განიმარტება, როგორც ორგანიზებული და მემკვიდრეობითი კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავს სწავლებას. ამ ფორმულირებაში საკვანძო ტერმინები უნდა გავიგოთ შემდეგნაირად:
8. **კომუნიკაცია:** ურთიერთობები ორ ან მეტ პირთა შორის, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის გადაცემასთან: აზრების, იდეების, ცოდნის, სტრატეგიების და ა.შ. კომუნიკაცია შეიძლება იყოს სიტყვიერი ან არასიტყვიერი, უშუალო/პირადი ან გაშუალებული/განხორციელებადი მანძილზე, სხვადასხვანაირი სახის კავშირებისა და საშუალებების გამოყენების საფუძველზე.
9. **სწავლება:** ქცევის, ინფორმაციის, ცოდნის, გაგების, შეხედულებების, ფასეულობების ან ჩვევების ნებისმიერი გაუმჯობესება.
10. **ორგანიზებული:** სტრუქტურულად დაგეგმილი ან გარკვეული თანმიმდევრობის მქონე კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავს ექსპლიციტურ ან იმპლიციტურ მიზნებს. ის გულისხმობს გარკვეული სასწავლო გარემოს შემქმნელი დაწესებულების (პირის/პირების ან ორგანოს) მონაწილეობას და სწავლების ამა თუ იმ მეთოდის არსებობას, რისი მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია. ამგვარი მეთოდის ამოსავალია მასწავლებელი, ანუ პირი, რომელიც მონაწილეობს კომუნიკაციაში და გადასცემს ცოდნასა და ჩვევებს სწავლების მიზნით, ამასთან ეს მეთოდი შეიძლება ატარებდეს გაშუალებულ ან „უსულ“ ხასიათს, მაგალითად, ეფუძნებოდეს პროგრამული უზრუნველყოფის, ფილმების, ხმის ჩანაწერებისა და ა.შ. გამოყენებას.
11. **მემკვიდრეობითი:** სწავლებისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივობისა და უწყვეტობის გარკვეული ელემენტები. არ არის დათქმული მინიმალური ხანგრძლივობა, მაგრამ შესაბამისი მინიმუმი უნდა იყოს მითითებული ოპერატიულ სახელმძღვანელოში.

12. ISCED-ი მოიცავს როგორც დაწყებით განათლებას ადამიანის ცხოვრების ყველაზე ადრეულ სტადიებზე, მის შრომით გარემოში შესვლამდე, ასევე განათლებას ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ISCED-ის მიზნებისთვის განათლება შეიცავს განათლების პროგრამებისა და სახეების ფართო წრეს, რომლებიც შეესაბამება მოცემული ქვეყნის პირობებს, როგორცაა ჩვეულებრივი განათლება, მოზრდილთა განათლება, არაფორმალური განათლება, დაწყებითი განათლება, უწყვეტი განათლება, დისტანციური განათლება, ღია განათლება, განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე, განათლება შეთავსებით, დუალისტური სისტემები, კადრების მომზადება, მოწაფეობა, პროფესიული და ტექნიკური განათლება, განათლება განსაკუთრებული მოთხოვნილებების გათვალისწინებით. დანართის სახით ტექსტს თან ერთვის განსაზღვრებათა განმარტებითი ლექსიკონი.
13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ISCED-ის მიზნებისთვის განათლება გამორიცხავს კომუნიკაციას, რომელიც არ არის მიმართული სწავლების უზრუნველყოფისაკენ. ის აგრეთვე გამორიცხავს სწავლების სხვადასხვა ფორმებს, რომელთაც არ აქვთ ორგანიზებული ხასიათი. ამრიგად, ნებისმიერი განათლება დაკავშირებულია სწავლებასთან, თუმცა სწავლების მრავალი ფორმა არ განიხილება როგორც განათლება. მაგალითად, სწავლება, რომელიც არის რომელიმე სხვა საქმიანობის თანამდე პროდუქტი, მაგალითად, სხდომა, სამუშაო შეხვედრა და ა.შ., არ არის განათლების პროცესი, რადგან არ ატარებს ორგანიზებულ ხასიათს, ანუ არ არის დაგეგმილი ჩარევის შედეგი, რომლის მიზანი მდგომარეობს სწავლების უზრუნველყოფაში.

როგორ მოქმედებს ISCED-ი?

14. ISCED-ი უზრუნველყოფს კომპლექსურ და თანმიმდევრულ სტატისტიკურ ჩარჩოებს განათლებაში საერთაშორისო დონეზე შესადარ მონაცემთა შეგროვებისა და წარდგენისათვის. ის შეიცავს ორ კომპონენტს:
- *სტატისტიკურ ჩარჩოებს* განათლებისა და სწავლების ნაციონალური სისტემების სტატისტიკური აღწერისათვის ჯვარედინი ცვლადების ნაკრებთან ერთად, რაც საინტერესოა პირებისათვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს პოლიტიკის დარგში განათლების სისტემების საერთაშორისო შესადარისობის კუთხით;
 - *მეთოდოლოგიას*, რომელიც ეხმარება ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამების გარდაქმნას საერთაშორისო დონეზე შესადარი კატეგორიების ნაკრებად (I) საფეხურებთან და განათლების (II) სფეროებთან მიმართებაში.
15. ISCED-ის გამოყენება აადვილებს ცალკეული ქვეყნის განათლების დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის გარდაქმნას, რომელიც შეგროვებულია ეროვნული კონცეფციებისა და განსაზღვრებების საფუძველზე, განათლების პროცესში მონაწილეებთან, განათლების უზრუნველმყოფ ორგანოებთან, განათლების სფეროში მოქმედ სპონსორებთან მიმართებაში, განზოგადებული კატეგორიების ჩარჩოებში, რაც შესადარია საერთაშორისო მასშტაბით და შეიძლება იყოს არსებითი განმარტების საგანი.
16. ISCED-ი ეყრდნობა სამ შემადგენელ ნაწილს: (I) საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონცეფციები და განსაზღვრებები; (II) კლასიფიკაციის სისტემები და (III) აუცილებელ მითითებათა შემცველი ოპერატიული სახელმძღვანელო, რომელიც მოწოდებულია ცხოვრებაში ზუსტად განახორციელოს მითითებული

კლასიფიკაცია. ყოველმხრივ და დეტალურად დამუშავებული მითითებები ISCED-ის შემადგენელი ნაწილია, ანუ ისინი საბაზო კლასიფიკაციისაგან განუყოფელი არიან. იგივე ეხება ISCED-ის განხორციელების პროცესსაც. ოპერატიული სახელმძღვანელო მოგვაწვდის კონკრეტულ და ოპერატიულ მითითებებს. მათ გარეშე არც ერთი ცალკე აღებული ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რაოდენ გულწრფელი არ უნდა იყოს მონაცემთა შეგუების მისეული განზრახვა საერთაშორისო დონეზე, ვერ შეძლებს განსაზღვროს, შესაძარია თუ არა პროგრამების კლასიფიკაციის მის მიერ გამოყენებული მეთოდი საერთაშორისო კატეგორიებთან, სხვა ქვეყნებში გამოყენებად მეთოდებთან.

„განათლების პროგრამის“ კონცეფცია ISCED-ში

17. კლასიფიკაციის ამოსავალ ერთეულად ISCED-ში რჩება განათლების პროგრამა. განათლების პროგრამები განისაზღვრება გამომდინარე განათლების პროგრამის შინაარსიდან, როგორც საგანმანათლებლო ღონისძიებათა ნაკრები ან თანმიმდევრობა, რომელიც ისეა ორგანიზებული, რომ განათლების სფეროში მიღწეულ იქნეს წინასწარ განსაზღვრული მიზანი და ამოცანათა კონკრეტული ჯგუფი. მიზნები შეიძლება შეიცავდეს მაგალითად, მომზადებას უფრო გაუმჯობესებული სწავლებისათვის, ერთი ან რამდენიმე სამუშაოს შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად, ან უბრალოდ, ცოდნის გაფართოების, ან საგნის სიღრმისეული გაგების მიზნით.
18. დასახული მიზნის მიღწევა ხშირად ნიშნავს სწავლების გარკვეული სტრუქტურისებული გამოცდილების არსებობას, რომელიც სრულდება გარკვეული ეტაპით, ხშირად ოფიციალური მოწმობის მიღებით ან აღნიშნული ფაქტის აღიარებით სხვა ფორმით. როგორც წესი, განათლების პროგრამები, წარმოადგენს რა კურსების ან სწავლების სხვა ფორმების ნაკრებს, არ არის მხოლოდ მათი შემადგენელი ნაწილების ჯამი, რადგან იგულისხმება, რომ ისინი ორგანიზებულია (იხ. პუნქტი 17). ხშირ შემთხვევაში, თუმცა ყოველთვის არა, საჭიროა, რომ სასწავლო დაწესებულებამ ან სხვა ორგანიზაციამ, რომელიც უზრუნველყოფს განათლებას, აღიაროს ამგვარი პროგრამის არსებობა და დაადასტუროს მისი დასრულება.
19. ტერმინი „საგანმანათლებლო საქმიანობა“ უნდა განიმარტოს უფრო ფართოდ, ვიდრე ტერმინი „კურსი ან სწავლების კურსების შეთავსება“, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან განათლება გარკვეულ საფეხურზე მოიცავს არა მხოლოდ პროგრამების ფარგლებში ორგანიზებულ კურსებს, არამედ აგრეთვე ფაკულტატური წესით დასასწრებ კურსებს და კურსების გარეშე საქმიანობის გარკვეულ ნაკრებს. ზოგჯერ პროგრამები შეიცავს მსხვილ კომპონენტებს, რომლებიც, როგორც წესი, ვერ დახასიათდება როგორც კურსები, მაგალითად, პროგრამები, რომლებიც წყვეტილია წარმოებებში სტაჟირების გავლისთვის, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩარჩოებში ან დისერტაციების მოსამზადებლად.
20. აღსანიშნავია, რომ ყველა კურსი არ არის ჩვეულებრივი განათლების პროგრამების ნაწილი. მაგალითად, მოწიფულთა ან უწყვეტი განათლების პროგრამების, აგრეთვე წარმოებაში კადრების მომზადების ბევრი მონაწილე გადის ინდივიდუალურ კურსებს კონკრეტული ჩვევების მისაღებად (იხ. პუნქტი 26, სადაც საუბარია საფეხურის განსაზღვრაზე, რომელსაც შეიძლება მიეკუთვნებოდეს ამგვარი კურსები).
21. უნდა ვაღიაროთ, რომ ISCED-ს ბუნებრივია აქვს თავისი შეზღუდვები საგანმანათლებლო ღონისძიებათა მონაწილეების პირდაპირ კლასიფიკაციასთან და კომპეტენციისა და კვალიფიკაციის შეფასებასთან დაკავშირებით. მიზეზი იმაშია, რომ არ არსებობს მჭიდრო ან უნივერსალური კავშირი პროგრამებში ჩაწერილ

მონაწილეებსა და განათლების ფაქტობრივ შედეგებს შორის. განათლების პროგრამები ცალკეულ პირთან მიმართებაში, რომელმაც მიიღო მონაწილეობა, ან თუნდაც წარმატებით დაამთავრა ის, უკეთეს შემთხვევაში არის მხოლოდ ჩვევებისა და კომპეტენციის ჩამოყალიბების პირველი მცდელობა, რაც მიღწეულ იქნა მოსწავლის მიერ. უფრო მეტიც, ნებისმიერი პროგრამის კრიტერიუმზე დაფუძნებული კლასიფიკაციისათვის ძალიან რთულია მოიცვას საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც არ არის ორგანიზებული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩოებში.

22. არსებობს განათლების საფეხურების კლასიფიკაციის კიდევ ერთი სერიოზული შეზღუდვა, რომელიც დაფუძნებულია განათლების პროგრამაზე. გონივრული იქნებოდა ვარაუდი, რომ საგანმანათლებლო მოღვაწეობა შედეგად გამოიღებს ცალკეული ადამიანის ჩვევებისა და კომპეტენციის სრულყოფას, რაც მოგვცემს ცალკეული მოსწავლის საგანმანათლებლო სისტემაში ცოდნისკენ მოწესრიგებული წინსვლის განმარტებას, თუმცა ხშირად ამგვარი წინსვლის მიზეზი ნაკლებადაა განათლების პროგრამები, ვინაიდან ცალკეულ მოსწავლეს შეუძლია მიაღწიოს საკუთარ მიზნებს განათლების სფეროში სხვადასხვა გზებითაც. ამისათვის საგანმანათლებლო სისტემები სთავაზობენ საზოგადოებას მრავალფეროვან ურთიერთგადაძვეთ „გზებს“, პროგრამების ალტერნატიულ თანმიმდევრობას და იძლევიან საშუალებას გამოყენებულ იქნეს „ბოლო შესაძლებლობაც“ კი. აგრეთვე შეინიშნება „ჰორიზონტალური“ მიმართულებით გადაადგილების ზრდა საგანმანათლებლო სისტემებში, რომლის ჩარჩოებში განათლების პროცესში მონაწილეს შეუძლია გააფართოოს საკუთარი ცოდნა არა მხოლოდ მიღებული განათლების „საფეხურების“ ნაწილობრივი ამადლებით. ამიტომ სულ უფრო რთული ხდება რომელიმე პროგრამის დაკავშირება განათლების სისტემაში მონაწილეთა მოძრაობის გზებთან. ამგვარად, საგანმანათლებლო პროგრამების იერარქიას მხოლოდ ძალიან შეზღუდულად შეუძლია ასახოს განათლების სისტემის რეალიები.

ISCED-ის გამოყენება ჩვეულებრივი განათლების გარე სისტემებთან მიმართებაში

23. ზოგიერთი საგანმანათლებლო ღონისძიება არ შეიძლება იყოს გადმოცემული გასაგებად, თუ ამისათვის ცნება „განათლების პროგრამა“ გამოიყენება ზემოაღნიშნული მნიშვნელობით, თუნდაც ის მთელი სიცხადით იყოს დაკავშირებული ორგანიზებულ და სტაბილურ განათლებასთან, რომლის მიზანი სწავლების უზრუნველყოფაში მდგომარეობს, ეს ნიშნავს, რომ ისინი პრინციპში ექვევცა ISCED-ის ჩარჩოებში. ამის მაგალითია ბავშვების განათლება ადრეულ ასაკში ოჯახში.
24. ISCED-ის ჩარჩოებში განათლების „სამყარო“, როგორც ნათქვამია პუნქტებში 1 და 12, გარდა ჩვეულებრივი განათლებისა, მოწიფულთა და განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა მქონე ბავშვების განათლებასაც მოიცავს. ამ ორი ქვეჯგუფისათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი ხშირად კორექტირდება იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მათი განსაკუთრებული მოთხოვნილებები.
25. ზემოაღნიშნული აზრით, საგანმანათლებლო ღონისძიებების სხვა სახეობებისთვის განათლება შეიძლება განისაზღვროს ცნებით „განათლების პროგრამა“, თუმცა ხშირად რთულია პროგრამის მონაწილეთა იდენტიფიცირება. ამგვარი შემთხვევების მაგალითია სამაუწყებლო საშუალებების განათლების პროგრამები. სხვა შემთხვევაში განათლების პროგრამები შეიძლება მოიცავდეს განსაკუთრებულ მახასიათებლებს, რომლებიც არ შეესაბამება ISCED-ში პროგრამების კლასიფიკაციისთვის შერჩეულ ჩვეულებრივ კრიტერიუმებს, მაგრამ ისინი მაინც ექვემდებარებიან ISCED-ის მოქმედების სფეროს. მაგალითად,

საგანმანათლებლო კურსი, ინტერნეტით თავისი შინაარსითა და მიზნებით შეიძლება იყოს ჩვეულებრივი განათლების ჩარჩოებით არსებული პროგრამის ანალოგიური.

26. ყველა ამგვარი საგანმანათლებლო ღონისძიება კლასიფიცირებული უნდა იყოს ჩვეულებრივ პროგრამებთან ეკვივალენტობის მიხედვით, ანუ მათი კლასიფიკაცია უნდა მოხდეს იმ ჩვეულებრივ პროგრამებთან ერთად, რომლებსაც ყველაზე მეტად უახლოვდებიან გამოყენებული კრიტერიუმების მიხედვით. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახში ბავშვთა ადრეულ ასაკში განათლების პროგრამები შეესაბამება განათლების შინაარსს ISCED-ის კრიტერიუმებით ნულოვან საფეხურზე, ის უნდა დაკლასიფიცირდეს როგორც დაწყებითადელი ნულოვანი განათლება ISCED-ში. ხანდახან, საგანმანათლებლო ღონისძიების კლასიფიკაციაში შეუძლია დახმარების გაწევა პროგრამის წარმატებული დასრულების შემდგომ გაცემულ მოწმობებსა და კვალიფიკაციებს, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის საფეხური დისტანციური განათლების ჩარჩოებში შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს კვალიფიკაციის სახეობიდან გამომდინარე, რომელიც გაცივმა ამგვარი სწავლების წარმატებით დამთავრების შემდეგ.

ჯვარედინი საკლასიფიკაციო ცვლადები

27. განათლების პროგრამები კლასიფიცირდება ჯვარედინი მეთოდით განათლების საფეხურებისა და სფეროების შესაბამისად, ამასთან, ყოველი ცვლადი დამოუკიდებელია. ამგვარად, განათლების ყველა პროგრამა შეიძლება იყოს კლასიფიცირებული მხოლოდ ერთ გრაფაში საფეხური-სფეროს მატრიცაში. არსებული მიზეზების გამო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს საფეხურის და სფეროს ნებისმიერი კომბინაცია.

I. განათლების საფეხურები

28. ფართო გაგებით განათლების „საფეხურების“ ცნება განიმარტება, როგორც სასწავლო პროგრამის შინაარსით განპირობებული გამოცდილებისა და ცოდნის გრადაცია, თუ მონაწილეები მოელიან, რომ მათ მიერ შეძენილი ცოდნა, ჩვევები და უნარები პროგრამის შესაბამისია. უფრო ფართო გაგებით საფეხურები დაკავშირებულია პროგრამის სირთულის ხარისხთან. ეს არ ნიშნავს, რომ განათლების საფეხურები წარმოადგენენ „კიბეს“, რომლის მეშვეობითაც მონაწილეთა გადნაცვლება ყოველ საფეხურზე აუცილებლად დამოკიდებულია იმაზე, შეძლეს თუ არა მათ წარმატებით დაეძლიათ წინა საფეხური. „საფეხურის“ ცნება არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთ მონაწილეს შეეძლო წარმატებით დაესრულებინა პროგრამები, რომლებიც მიეკუთვნება უფრო მაღალ საფეხურს.
29. ამიტომ განათლების „საფეხურების“ ცნება უმთავრესად არის იმ პირობაზე დამყარებული კონცეფცია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება დაჯგუფდეს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე კატეგორიათა ორგანიზებულ მწკრივად, რომელიც მთლიანობაში შეესაბამება მონაწილეებისაგან მოთხოვნილი ცოდნის, ჩვევებისა და უნარების საერთო მოცულობას, თუ მათ შეუძლიათ იქონიონ გარკვეული მოლოდინი, რომ შეძლებენ დაასრულონ ამ კატეგორიებს მიკუთვნებული პროგრამები. მითითებული კატეგორიები წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის ჩარჩოებში მნიშვნელოვან ეტაპებს, დაწყებული ყველაზე დაბალი (ელემენტარული) განათლებიდან ყველაზე გართულებულამდე, ამასთან, რაც უფრო რთულია პროგრამა, მით უფრო მაღალია განათლების საფეხური.
30. განათლების საფეხურების კლასიფიკაცია ხორციელდება უფრო ზოგად საკლასიფიკაციო ჩარჩოებში, სადაც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო სისტემა მთლიანობაში და უფრო კონკრეტულად – პარამეტრები, რომლებსაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მათი თვალსაზრისით, ვინც იღებს პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებებს განათლების საერთაშორისო სტატისტიკის მონაცემთა შესადარისობაში, ან მათი, ვისაც აქვს უშუალო შეხება განათლების საფეხურების განსაზღვრასთან. ამგვარი პარამეტრები წარმოადგენენ პროგრამის საერთო მიმართულებას, განათლების სფეროს, ორგანიზაციას ან პირს, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებას, ადგილმდებარეობას ან პირობებს, საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზების ხერხებს, მონაწილეობის სახეობას ან ხერხს. ზოგიერთი ამ პარამეტრიდან არის უშუალოდ არა საგანმანათლებლო პროგრამების ატრიბუტი, არამედ პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ატრიბუტი, ან განათლების შეთავაზების ხერხების ატრიბუტი. მაგრამ ეს ატრიბუტები ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას, რომელიც იძლევა პროგრამების ხასიათის განსხვავების საშუალებას ბევრ ქვეყანაში. გარდა ამისა, ისინი თამაშობენ მნიშვნელოვან როლს მასშტაბის განსაზღვრასა და გამოვლენაში, საიდანაც ხორციელდება მონაცემთა შეგროვება. ამრიგად, თუმცა ISCED-ი არის საგანმანათლებლო პროგრამების საკლასიფიკაციო სისტემა, ეს სხვა, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პარამეტრები გვეხმარებიან საერთო ჩარჩოების დადგენა-განსაზღვრაში.

როგორ დავადგინოთ საფეხური პროგრამის შინაარსის კრილში

31. განათლების პროგრამების კლასიფიკაცია საფეხურების მიხედვით უნდა ეყრდნობოდეს განათლების შინაარსს. მაგრამ, აშკარად შეუძლებელია პროგრამების შინაარსის შეფასება და შეჯერება თანმიმდევრულად საერთაშორისო მასშტაბით. სწავლების პროგრამები მეტისმეტად მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი და რთულია და არ იძლევა საშუალებას გაკეთდეს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ ერთი სასწავლო პროგრამა მოცემული ასაკის ან კლასის მოსწავლეებისათვის მიეკუთვნება განათლების უფრო მაღალ საფეხურს, ვიდრე სხვა პროგრამა. სასწავლო პროგრამების ესა თუ ის საერთაშორისო სტანდარტები, რასაც შეიძლება დაეყრდნოს ამგვარი დასკვნები, არ არსებობს.
32. ემპირიულად ISCED-ში მოიაზრება რამდენიმე კრიტერიუმის არსებობა, რომელთაც შეუძლიათ დახმარების გაწევა ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამის კლასიფიცირებისთვის განათლების საფეხურის მოძიებაში. შესაბამისი განათლების საფეხურისა და სახეობის მიხედვით აუცილებელი იქნება კრიტერიუმებს შორის დადგენილ იქნეს რეიტინგული თანაფარდობის დაქვემდებარებული სისტემა: მთავარი კრიტერიუმები და დამხმარე კრიტერიუმები (მოხვედრისათვის საჭირო ტიპური კვალიფიკაცია, მინიმალური შესასვლელი მოთხოვნები, მინიმალური ასაკი, პერსონალის კვალიფიკაცია და ა.შ., იხ. ცხრილი 1). ძალიან მნიშვნელოვანია ეს კრიტერიუმები გამოყენებულ იქნეს ისე, რომ მათ კი არ გამორიცხონ, არამედ შეავსონ ერთმანეთი. აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენების გზით განისაზღვრება პროგრამის საფეხური.
33. იმისათვის, რომ მოხმარებელს გაეწიოს დახმარება საგანმანათლებლო პროგრამების კლასიფიცირებაში, აგრეთვე, რომ მის განკარგულებაში აღმოჩნდეს მონაცემთა შეგროვებისა და შესაბამისი და შეჯერებადი ინდიკატორების გაანგარიშების საიმედო იარაღი, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ზოგიერთი საფეხურის დაყოფა უფრო წვრილ გრადაციებად. მაგალითად, საფეხური 5 შეიძლება დანაწევრდეს სამი დამოუკიდებელი ცვლადის (დამატებითი პარამეტრები) გამოყენების გზით, - სრული ხანგრძლივობა, ეროვნული ხარისხი და კვალიფიკაციის სტრუქტურა, აგრეთვე პროგრამის ტიპი. ამგვარი დანაწევრება აადვილებს ჯვარედინი კლასიფიკაციის ბევრ შემთხვევას და შესაბამისი შესადარი ინდიკატორების მიღებას.

როგორ გამოიყენება ირიბი (გაშუალებული) კრიტერიუმები პრაქტიკაში

34. რომელიმე პროგრამის კლასიფიკაციის კრიტერიუმების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის მომენტი, რომ კლასიფიკაციის ამოსავალი კრიტერიუმი მდგომარეობს განათლების შინაარსში. ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ნაციონალური პროგრამების ინსტიტუციურ თავისებურებებს არ შეუძლია შეცვალოს განათლების შინაარსი. თუ დავეყრდნობით მხოლოდ ინსტიტუციურ კრიტერიუმებს, ეს გამოიწვევს იმას, რომ მოგვიწევს უარი ვთქვათ საერთაშორისო შესადარისობის ამოცანებზე შესადარ მონაცემთა ფართო წრესთან მიმართებაში, რამეთუ ინსტიტუციური სტრუქტურები არ არის აუცილებლად შეჯერებადი საერთაშორისო ჭრილში.
35. განათლების რომელიმე პროგრამის საფეხურის განსაზღვრის მიზნით კრიტერიუმების გამოყენებისას აუცილებელია მოქნილობის გამომყვანება. მიუხედავად იმისა, რომ ISCED-ის მთავარი ამოცანაა განათლებაში შესადარ მონაცემთა შეგროვების ხელშეწყობა პროგრამების სხვადასხვა დაჯგუფებებთან მიმართებაში, აღიარებულია, რომ ნაციონალურ დონეზე შეიძლება არსებობდეს სრულიად განსხვავებული პირობები, რომლებიც ზოგჯერ აფერხებს საფეხურების მკაცრ განსაზღვრას. ამგვარი სიტუაციის მაგალითად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტარტო ასაკი და განათლების ხანგრძლივობა.

მაგალითი პირველი: სკოლამდელი განათლების სასტარტო ასაკად დადგენილია სამი წელი, მაგრამ უფრო მცირე ასაკის ბავშვებს ეს არ უქმნის წინააღმდეგობას საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისათვის.

მაგალითი მეორე: ISCED 1-ში დადგენილია სრული მოცულობის სასკოლო განათლება 6 წლის განმავლობაში. მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს რომ ქვეყნებმა, სადაც დაწყებითი განათლება გრძელდება 7 წელს, უნდა გაყონ სტატისტიკა, მაგალითად, დაწყებითი განათლების ჩარჩოებში ჩართული ფინანსური რესურსებისა და პედაგოგიური პერსონალის მიმართებაში ორ ნაწილად. ამის მაგივრად ISCED-ის შესაბამისად აღიარებულია, რომ სტატისტიკურ მონაცემთა წარდგენა განხორციელდება ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის კონტექსტში და სტატისტიკურ მონაცემთა წარდგენის სისტემაში არსებული შეზღუდვებით.

მნიშვნელოვანია ის, რომ ვიდრე ISCED-ის მიერ რომელიმე პროგრამის კლასიფიკაციისთვის, ამა თუ იმ საფეხურის შესაბამისად, კრიტერიუმების სახით გამოიყენება გარდამავალი ინსტიტუციური პუნქტები, ეროვნული გარდამავალი პუნქტების არჩევა საერთაშორისო კლასიფიკაციასთან შესაბამისობის დასადგენად განისაზღვრება განათლების შესაბამისი შინაარსით. ესა თუ ის ხანგრძლივობა, რომელიც დგინდება ISCED-ის შესაბამისად, ნიშნავს, რომ ის ორიენტირია სხვადასხვა ვარიანტების შესაძლო არსებობასთან ერთად. ეს მაგალითები გამოდგება აგრეთვე საფეხურებისთვის 2 და 3.

36. ზოგიერთი დამატებითი პარამეტრისთვის გამოიყენება მოკლე ტერმინები რომელთა სრული განსაზღვრებები შემდეგია:

- შემდგომი განათლების სახეობა, ან რით იქნება დაკავებული მოსწავლე შემდგომში: შემდგომი განათლების სახეობა ან ადგილი, რომელზეც ამგვარი განათლების მქონე პირს შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია, ან სამუშაო ადგილის ტიპი შრომის ბაზარზე, რომლისთვისაც ემზადებიან კურსდამთავრებულები;
- პროგრამის ორიენტაცია: პროგრამის ორიენტაცია, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გაიაზრება, როგორც ხარისხი, რომელშიც ესა თუ ის პროგრამა მიმართულია შრომითი მოწყობის ან პროფესიული დასაქმების კონკრეტულ სახეობაზე.

ცხრილი 1: განათლების საფეხურები (თვალსაჩინო ცხრილი)

ირიბი კრიტერიუმები შინაარსისათვის		საფეხურის დასახელება	კოდი	დამატებითი პარამეტრები
მთავარი კრიტერიუმები	დამხმარე კრიტერიუმები			
საგანმანათლებლო მახასიათებლები. სკოლის ან ცენტრის ბაზაზე. ბავშვების მინიმალური ასაკი მაქსიმალური ასაკი	პერსონალის კვალიფიკაცია	დაწყებითამდელი განათლება	0	არა
კითხვის, წერისა და მათემატიკის სისტემატური სწავლების დაწყება	ნაციონალურ დონეზე აღიარებულ დაწყებით სასწავლო დაწესებულებაში ან შესაბამის პროგრამებზე შესვლა. აუცილებელი განათლების დაწყება	დაწყებითი განათლება/ საბაზო განათლების პირველი ეტაპი	1	არა

<p>საგნის გადმოცემა. საბაზო ჩვენების სრული ათვისება და სიცოცხლის განმავლობაში სწავლებისთვის საფუძვლის მიღება</p>	<p>შესვლა დაწყებითი განათლების დაახლოებით 6 წლის შემდეგ. დაწყებითი განათლების დაწყების მომენტიდან 9 წლიანი სწავლის შემდეგ განათლების ციკლის დასრულება. რამოდენიმე მასწავლებელი ატარებს საკლასო მეცადინეობებს საკუთარი სპეციალიზაციის დარგებში.</p>	<p>საშუალო განათლების პირველი ეტაპი/ საბაზო განათლების მეორე ეტაპი</p>	<p>2</p>	<p>შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა. პროგრამის ორიენტაცია</p>
<p>შესვლისათვის აუცილებელი ტიპური კვალიფიკაცია. მინიმალური მოთხოვნები შესვლისთვის</p>		<p>(მეორე ეტაპი) საშუალო განათლება</p>	<p>3</p>	<p>შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა. პროგრამის ორიენტაცია. სრული ხანგრძლივობა ISCED-ის საფეხური 3-ის დაწყების შემდეგ</p>
<p>შესვლისათვის წაყენებული მოთხოვნები. შინაარსი, ასაკი, ხანგრძლივობა</p>		<p>საშუალოს შემდგომი, არაუმალესი განათლება</p>	<p>4</p>	<p>შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა. ISCED-ის საფეხური 3-ის დაწყებიდან სრული ხანგრძლივობა. პროგრამის ორიენტაცია</p>
<p>მინიმალური მოთხოვნები შესვლისთვის. მიღებული მოწმობის სახეობა. ხანგრძლივობა</p>		<p>უმაღლესი განათლების პირველი ეტაპი (არ არის გამიზნული უშუალოდ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მიღებისკენ, რომელიც საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის)</p>	<p>5</p>	<p>პროგრამის სახეობა. თეორიული სრული ხანგრძლივობა უმაღლესი განათლების დონეზე. ნაციონალური ხარისხი და კვალიფიკაციის სტრუქტურა</p>
<p>სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ჩატარებაზე ორიენტირებული შინაარსი, სადისერტაციო ნამუშევრის წარდგენა</p>	<p>კურსდამთავრებულთა მომზადება თანამდებობის დასაკავებლად უმაღლეს სასწავლებელში ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის</p>	<p>უმაღლესი განათლების მეორე ეტაპი (არ არის გამიზნული უფრო მაღალი კვალიფიკაციის მიღებისკენ, რაც საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებისთვის)</p>	<p>6</p>	<p>არა</p>

საფეხური 0 – დაწყებითამდელი განათლება

ძირითადი მახასიათებლები

37. საფეხური 0 (დაწყებითამდელი), განისაზღვრება როგორც ორგანიზებული განათლების თავდაპირველი ეტაპი, პროგრამები განკუთვნილია პირველ რიგში იმისათვის, რომ უმცროსი ასაკის ბავშვები შეეჩვიონ სასკოლო გარემოს, ანუ ეს პროგრამები არის ხიდი ოჯახისა და სკოლის ატმოსფეროებს შორის. ამ პროგრამების დასრულების შემდგომ ბავშვები აგრძელებენ განათლებას 1 დონეზე (დაწყებითი განათლება).

კლასიფიკაციის კრიტერიუმები

38. სკოლამდელი განათლების დაწყების და დასრულების განსაზღვრისთვის, ანუ ბავშვის მოვლისა და სკოლამდელი განათლების გამოიყენისთვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

ძირითადი კრიტერიუმები:

- პროგრამის საგანმანათლებლო მიმართულება;
- ორგანიზაცია სკოლის ან ცენტრის ბაზაზე;
- ბავშვთა მინიმალური ასაკი;
- ბავშვთა მაქსიმალური ასაკი.

დამხმარე კრიტერიუმები:

- პერსონალის კვალიფიკაცია

39. იმისათვის, რომ დაწყებითამდელი პროგრამა ჩაითვალოს განათლებად, საჭიროა მისი ორგანიზება სკოლის ან ცენტრის ბაზაზე. ეს ტერმინები გამოიყენება დაწყებითი სკოლის, დაწყებითამდელი სკოლისა და საბავშვო ბაღების პირობებში მიმდინარე მუშაობის განსხვავებისათვის სახლის ან ოჯახის პირობებში შეთავაზებული მომსახურებისაგან.

40. ამგვარი პროგრამები განკუთვნილია არანაკლებ 3 წლის ასაკის ბავშვებისათვის. ასეთი ასაკი იყო შერჩეული იმიტომ, რომ უფრო მცირე ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი პროგრამები, როგორც წესი, არ აკმაყოფილებს ISCED-ის საგანმანათლებლო კრიტერიუმებს.

41. მაქსიმალური ასაკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია დაწყებით საკოლაში შესვლის დადგენილ (ტიპურ) ასაკზე.

42. შესაბამის შემთხვევებში მასწავლებელთა შემადგენლობაში პედაგოგიური კვალიფიკაციის არსებობის მოთხოვნა შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამების კარგი ირიბი (გაშუალებული) კრიტერიუმი ყველა იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ამგვარი მოთხოვნა. ეს მოთხოვნა საშუალებას იძლევა განვასხვაოთ დაწყებითამდელი განათლება და ბავშვთა მოვლა, რომლისთვისაც საჭიროა საშუალო სამედიცინო პერსონალის დონის კვალიფიკაცია, ან ის საერთოდ არ მოითხოვება.

აგრეთვე შეიცავს:

43. განსაკუთრებულ საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა მქონე ბავშვების ორგანიზებულ სწავლებას. ამგვარი განათლება შეიძლება ასევე შეთავაზებულ იქნეს საავადმყოფოებში, სპეციალურ სკოლებში ან სასწავლო ცენტრებში. ამ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მითითებული მაქსიმალური ასაკი.

გამორიცხავს:

44. მოწიფულთა განათლებას.

საფეხური 1 – დაწყებითი განათლება ან საბაზო განათლების პირველი ეტაპი

მთავარი მახასიათებლები

45. საფეხური 1-ის პროგრამები ჩვეულებისამებრ ითვალისწინებს მეცადინეობის განსაზღვრული საათების რაოდენობას ცოდნის გარკვეული დონის მისაღწევად ან მოსწავლეთათვის საფუძვლიანი საბაზო განათლების მიცემას – შეასწავლოს მათ კითხვა, წერა, მათემატიკა და ელემენტარული გაგება სხვა ისეთი საგნების, როგორცაა ისტორია, გეოგრაფია, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებები, ხელოვნება და მუსიკა. ზოგიერთ შემთხვევაში ჩართულია რელიგიური სწავლება.
46. ამ საფეხურზე მთავარი ადგილი უკავია განათლებას ბავშვებისთვის, რომელთა სკოლაში შესვლის ტრადიციული ან კანონით განსაზღვრული ასაკი არანაკლებ 5 და არა უმეტეს 7 წელია. სწავლების ვადა ამ საფეხურზე სრული სასწავლო დღის პირობებში პრინციპში 6 წელიწადს შეადგენს.
47. მთელი ამ საფეხურის განმავლობაში პროგრამების ორგანიზება ხდება მეცადინეობების ან ცოდნის მოცულობის გარკვეული საათების რაოდენობის საფუძველზე და არა საგნის მიხედვით. ეს არის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებათაგანი, რაც უმეტეს ქვეყნებში განასხვავებს მოცემული საფეხურის პროგრამებს საფეხურ 2-საგან.

კლასიფიკაციის კრიტერიუმები

48. 0-ოვან და საფეხურ 1-ს შორის ზღვრის გასავლელად (დაწყებითამდელი და დაწყებითი განათლება) გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

ძირითადი კრიტერიუმები:

- დაწყებითი განათლებისთვის დამახასიათებელი სისტემატური სწავლების, მაგალითად, კითხვის, წერის, მათემატიკის დაწყება.

დამხმარე კრიტერიუმები:

- სასწავლო დაწესებულებაში შესვლა ან სწავლება პროგრამებით, რომლებიც ქვეყანაში განისაზღვრება როგორც დაწყებითი;
- სავალდებულო განათლების დაწყება იქ, სადაც ის არის.

აგრეთვე შეიცავს:

49. ქვეყნებში, სადაც დაწყებითი განათლება „საბაზო განათლების“ ნაწილია, საფეხურ 1-ში ჩართულია მხოლოდ მისი პირველი ეტაპი. თუ „საბაზო განათლება“ ოფიციალურად არ იყოფა ორ ეტაპად, მხოლოდ პირველი ექვსი წელი უნდა იყოს კლასიფიცირებული როგორც საფეხური 1.
50. ამ საფეხურის კატეგორია შეიცავს აგრეთვე პროგრამებს განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა მქონე ბავშვებისათვის.

51. წერა-კითხვის გამავრცელებელი პროგრამები სასკოლო სისტემის ჩარჩოებში ან მის გარეთ, რომლებიც შინაარსით ანალოგიურია დაწყებითი განათლების პროგრამებისა იმათთვის, ვისი ასაკიც აღემატება დაწყებით სკოლებში შემსვლელთა ნორმალურ ასაკს, ასევე ჩართულია ამ საფეხურში, რამეთუ ეს პროგრამები არ მოითხოვს წინასწარ ფორმალურ განათლებას.

საფეხური 2 – საშუალო განათლების პირველი ეტაპი ან საბაზო განათლების მეორე ეტაპი

ძირითადი მახასიათებლები

52. განათლების შინაარსი ამ ეტაპზე ჩვეულებისამებრ გამიზნულია საბაზო განათლების დამთავრებისათვის, რომელიც იწყება ISCED-ის საფეხურ 1-ზე. ბევრ, თუ არა უმეტეს ქვეყნებში, პედაგოგიური ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საძირკველი ჩაეყაროს ადამიანის სწავლებასა და მისი პროფესიის განვითარებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რის საფუძველზეც ქვეყნებს შეუძლიათ სისტემატურად, შემდგომშიც გააფართოონ განათლების საშუალებები. პროგრამები ამ საფეხურზე, როგორც წესი, ხასიათდება უფრო დიდი საგნობრივი ორიენტაციით მასწავლებელთა სპეციალიზაციისას და ხშირ შემთხვევაში რამდენიმე მასწავლებელი ატარებს მეცადინეობებს საკუთარ სპეციალურ საგნებში. ამ საფეხურზე სრულდება საბაზო ჩვევათა შექმნა. მოცემული საფეხურის დამთავრება ხშირ შემთხვევაში, ემთხვევა სავალდებულო სასწავლო განათლების დასრულებას იქ, სადაც ის არსებობს.

კლასიფიკაციის კრიტერიუმები

53. ამ დონის განსაზღვრისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

ძირითადი კრიტერიუმები:

- საგნობრივი სწავლების დაწყება უფრო კვალიფიციური მასწავლებლების გამოყენებით, ვიდრე საფეხურ 1-ზე;
- საბაზო ჩვევების შექმნის დასრულება და სიცოცხლის განმავლობაში სწავლებისთვის საფუძველების ფორმირება.

დამხმარე კრიტერიუმები:

- ჩარიცხვა ექვსწლიანი დაწყებითი განათლების შემდეგ (იხ. პუნქტი 35);
- ამ საფეხურის დასრულება ხდება სკოლაში დაახლოებით ცხრაწლიანი სწავლების შემდეგ დაწყებითი განათლების მომენტიდან (იხ. პუნქტი 35);
- ამ საფეხურის დასრულება ხშირ შემთხვევაში ემთხვევა სავალდებულო განათლების დამთავრებას ქვეყნებში, სადაც ის არის;
- ხშირ შემთხვევაში ამ საფეხურის დასაწყისში სხვადასხვა მასწავლებლები იწყებენ მეცადინეობების ჩატარებას თავის სპეციალურ საგნებში.

დამატებითი პარამეტრები

54. ამ საფეხურის აღწერისათვის საჭიროა ორი დამატებითი პარამეტრი:

- შემდგომი განათლებისა ან საქმიანობის სახეობა (იხ. პუნქტი 36);
- პროგრამის ორიენტაცია (იხ. პუნქტი 36).

შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა

55. ISCED-ის საფეხური 2-ის პროგრამები შეიძლება დაყოფილ იქნეს დანიშნულების შესაბამისად, რომლებისთვისაც ეს პროგრამები მომზადებულია, რასაც მივყავართ შემდეგ განსხვავებებამდე (იხ. პუნქტი 66):

- ISCED 2A: პროგრამები, მე-3 საფეხურზე პირდაპირი დაშვების უზრუნველსაყოფად იმგვარი თანამიმდევრობით, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს უმაღლეს განათლებამდე, ანუ ISCED-ის 3A ან 3B საფეხურზე;
- ISCED 2B: პროგრამები 3C საფეხურზე პირდაპირი დაშვების უზრუნველსაყოფად;
- ISCED 2C: პროგრამები, რომლებიც პირველ რიგში მოწოდებულია უზრუნველყოს პირდაპირი დაშვება შრომის ბაზარზე ამ საფეხურის დამთავრებისთანავე (მათ ხშირად ეწოდება „დასკვნითი“ პროგრამები).

პროგრამების ორიენტაცია

56. ეს მეორე დამატებითი პარამეტრი ყოფს პროგრამებს სამ კატეგორიად:

ზოგადი განათლება

57. ამ განათლების მთავარი ამოცანაა მიიყვანოს მონაწილეები საგნის ან საგნების ჯგუფის უფრო ღრმა გაგებამდე, განსაკუთრებით (მაგრამ არა აუცილებლად) მონაწილეთა შემდგომი (დამატებითი) განათლებისთვის მომზადების მიზნით ამავე ან უფრო მაღალი საფეხურისათვის. ამ პროგრამების წარმატებით დასრულებამ შესაძლოა მისცეს მონაწილეებს კვალიფიკაციები, რომლებზეც მოთხოვნილებაა შრომის ბაზარზე. აღნიშნული პროგრამები ხორციელდება ძირითადად სკოლის ბაზარზე. ამ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს საერთო ორიენტაციის მქონე პროგრამები და არა ისინი, რომლებიც კონცენტრირებულია კონკრეტულ სპეციალიზაციაზე.

პროფესიულისწინა ან ტექნიკურისწინა განათლება

58. ეს განათლება ძირითადად გამიზნულია მონაწილეთა შრომის სამყაროსთან გასაცნობად და პროფესიული და ტექნიკური სწავლების პროგრამებში შესვლისათვის მოსამზადებლად. იმისათვის, რომ პროგრამა ჩაითვალოს პროფესიულისწინად ან ტექნიკურისწინად, მისი შინაარსის სულ ცოტა 20% უნდა იყოს პროფესიულ-ტექნიკური. ეს მინიმუმი საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროფესიული ან ტექნიკური საგანი არ იყოს ერთადერთი ბევრ სხვათა შორის.

პროფესიული ან ტექნიკური განათლება

59. ეს განათლება ძირითადად მიზნად ისახავს, რომ მონაწილეებმა მიიღონ პრაქტიკული ჩვევები, „ნოუ-ჰაუ“ და განმარტებები კონკრეტული სპეციალობით ან პროფესიით ან საქმიანობისა თუ პროფესიის სახეობაში მუშაობისთვის. ამგვარი პროგრამების წარმატებული დასრულება იძლევა შრომის ბაზარზე საჭირო პროფესიული კვალიფიკაციების შეძენის საშუალებას, რომლებიც აღიარებულია კომპეტენტური ორგანოების მიერ იმ ქვეყნებში, სადაც მოხდა კვალიფიკაციების ათვისება (მაგალითად განათლების სამინისტრო, მეწარმეთა ასოციაციები და ა.შ.). პროგრამები ამ კატეგორიაში შეიძლება დაიყოს ორ ტიპად:

- პირველ რიგში თეორიაზე ორიენტირებული;
- პირველ რიგში პრაქტიკაზე ორიენტირებული.

ზემოხსენებული სამი კატეგორია გამოიყენება აგრეთვე საფეხურებზე 3 და 4.

დამატებითი პარამეტრების ურთიერთქმედება საფეხურზე 2.

დანიშნულება: შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა	ISCED საფეხურ 2-ის პროგრამები		
	ISCED საფეხურ 3-ზე დაშვების პროგრამები		საფეხურ 3-ზე არდამშვები პროგრამები: ISCED 2C პროგრამები, რომლებიც ამზადებენ მხოლოდ შრომის ბაზარზე პირდაპირი გასვლისთვის
	პროგრამებზე 3A ან 3B დამშვები ISCED 2A პროგრამები	პროგრამებზე 3C დამშვები ISCED 2B პროგრამები	
პროგრამის ორიენტაცია			
საერთო			
პროფესიულსწინა ან ტექნიკურსწინა			
პროფესიული ან ტექნიკური			

აგრეთვე შეიცავს:

60. ქვეყნებში, სადაც დაწყებითი განათლება „საბაზო განათლების“ ნაწილია, „საბაზო განათლების“ მეორე ეტაპი უნდა იყოს ჩართული საფეხურ 2-ში. თუ „საბაზო განათლება“ ოფიციალურად არ იყოფა ორ ეტაპად, საფეხურ 2-ში ჩართული იქნება წლები 6 წლიანი სწავლების შემდგომ.

61. ეს საფეხური მოიცავს განათლების პროგრამებს განსაკუთრებული მოთხოვნილებების მქონე ბავშვებისათვის და მოწიფულთა სრულ განათლებას, რომელიც შინაარსით ამ საფეხურზე შემოთავაზებული განათლების ანალოგიურია, მაგალითად, განათლება, რომელიც აძლევს მოწიფულებს შემდგომი სწავლისთვის საჭირო საბაზო ჩვევებს.

საფეხური 3 – საშუალო განათლების მეორე ეტაპი

ძირითადი მახასიათებლები

62. განათლების ეს საფეხური, როგორც წესი, იწყება სრული სასწავლო დღიანი სავალდებულო განათლების ბოლოს იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს სავალდებულო განათლების სისტემა. ამ საფეხურზე შეიძლება შეიმჩნეოდეს უფრო ღრმა სპეციალიზაცია ვიდრე ISCED-ის საფეხურ 2-ზე; ხშირ შემთხვევაში მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ უფრო მაღალი კვალიფიკაცია ან სპეციალიზაცია, ვიდრე ISCED-ის საფეხური 2-სთვის. ამ საფეხურზე მოხვედრის ჩვეულებრივი ასაკი – 15 ან 16 წელია.

63. ამ საფეხურის განათლების პროგრამები, როგორც წესი მოითხოვენ სწავლების დასრულებას 9 წელიწადში სრული სასწავლო დღის ეკვივალენტით (დაწყებული საფეხური 1-დან), ან განათლების და პროფესიულ-ტექნიკური გამოცდილების შეხამებას საფეხური 2-ის დასრულებასთან ერთად, როგორც შესვლისათვის მინიმალურ მოთხოვნას, ან ამ საფეხურის პროგრამების ათვისების უნარის დემონსტრირებას.

კლასიფიკაციის კრიტერიუმები

64. ამ დონის განსაზღვრისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

მთავარი კრიტერიუმები:

- შემსვლელების მიმართ ტიპური მოთხოვნა (სწავლის ხანგრძლივობა დაახლოებით 9 წელი სრული სასწავლო დღის ეკვივალენტით საფეხური 1-ის დაწყებიდან (იხ. პუნქტი 35);
- მინიმალური მოთხოვნები შემსვლელთა მიმართ (როგორც წესი საფეხური 2-ის დასრულება).

დამატებითი პარამეტრები:

65. ამ საფეხურის შესაბამისად კლასიფიკაციისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული სამი პარამეტრი:

- დანიშნულება: შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა (იხ. პუნქტი 36).
- პროგრამის ორიენტაცია (იხ. პუნქტი 36);
- ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა სრული სასწავლო დღის ეკვივალენტით საფეხური 3-ის დაწყების შემდეგ.

დანიშნულება: შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა

66. ამ პარამეტრებიდან პირველის შესაბამისად საფეხური 3 შეიძლება დაიყოს სამ მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფად (იხ. პუნქტი 84);

- ISCED 3A: საფეხური 3-ის პროგრამები, რომლებიც გათვალისწინებულია ISCED 5A-ზე პირდაპირ მოხვედრის უზრუნველსაყოფად;
- ISCED 3B: საფეხური 3-ის პროგრამები, რომლებიც გათვალისწინებულია ISCED 5B-ზე პირდაპირ მოხვედრის უზრუნველსაყოფად;
- ISCED 3C: საფეხური 3-ის პროგრამები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ISCED 5A-ზე ან 5B-ზე პირდაპირ მოხვედრის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, ეს პროგრამები მიმართულია პირდაპირ შრომის ბაზარზე გასასვლელად, ISCED 4-ის, ან ISCED 3-ის პროგრამებისკენ.

პროგრამების ორიენტაცია

67. ამ მეორე დამატებით პარამეტრს აქვს იგივე კატეგორიები, რაც საფეხურ 2-ს (იხ. პუნქტები 56-59):

- ზოგადი განათლება;
- პროფესიულისწინა ან ტექნიკურისწინა განათლება;
- პროფესიული და ტექნიკური განათლება.

ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა

68. ეს მესამე პარამეტრი - პროგრამის ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა სრული სასწავლო დღის ეკვივალენტით - გაითვლება ISCED-ის საფეხური 3-ის დაწყებიდან. ამ პარამეტრს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა საფეხური 3C-ს პროგრამებისათვის.

დამატებითი 3 პარამეტრის ურთიერთქმედება საფეხურზე 3.

დანიშნულება: შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა	ISCED საფეხური 3-ის პროგრამები					
	ISCED-ის საფეხურ 5-ზე დამშვების პროგრამა		ISCED-ის საფეხურ 5-ზე არდამშვები პროგრამა			
	პროგრამებზე 5A დამშვები ISCED 3A პროგრამები	პროგრამებზე 5B დამშვები ISCED 3B პროგრამები	შრომის ბაზარზე, საფეხური 4-ის პროგრამებზე ან საფეხური 3-ის პროგრამებზე დამშვები ISCED 3C პროგრამები.			
პროგრამის ორიენტაცია			6 თვეზე ნაკლები	6 თვეზე ნაკლები	1 – 2 წელი	2 წელზე მეტი
ზოგადი						
პროფესიულისწინა ან ტექნიკურისწინა						
პროფესიული ან ტექნიკური						

აგრეთვე შეიცავს:

69. ეს საფეხური აგრეთვე შეიცავს პროგრამებს განსაკუთრებული მოთხოვნილებების მქონე მოსწავლეებისთვის და მოწიფულთა განათლებას.

გამორიცხავს:

70. კორექტირებად პროგრამებს მოსწავლეთათვის, რომლებიც ვერ ასწრებენ ISCED-ის საფეხური 2-ის პროგრამებით (და ამიტომ ეს პროგრამები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც შინაარსით ნებისმიერი აღწერილი ISCED 3-ის პროგრამების ეკვივალენტური) კლასიფიცირებულ უნდა იქნეს არა ISCED-ის საფეხური 3-ის მიხედვით, არამედ ISCED-ის საფეხური 1 ან 2-ის პროგრამის შინაარსის მიხედვით.

საფეხური 4 – საშუალოსშემდგომი, არაუმადლესი განათლება

ძირითადი მახასიათებლები

71. ISCED 4 მოიცავს პროგრამებს, რომლებიც საერთაშორისო თვალსაზრისით განთავსებულია საშუალო განათლების მეორე ეტაპისა და საშუალოს შემდგომ განათლებას შორის ზღვარზე, თუმცა ნაციონალურ კონტექსტში ისინი შეიძლება მკაფიოდ განიხილებოდეს როგორც საშუალო განათლების მეორე ეტაპის ან საშუალოს შემდგომი განათლების პროგრამები.
72. ISCED 4-ის პროგრამები მათი შინაარსის გათვალისწინებით არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უმაღლესი განათლების პროგრამები. ხშირ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ოდნავ მაღალი დონისაა, ვიდრე ISCED 3-ის პროგრამები, მაგრამ ისინი ემსახურება იმ მონაწილეთა ცოდნის გაფართოების მიზნებს, რომლებმაც უკვე დაასრულეს პროგრამები საფეხურ 3-ზე.
73. ტიპური მაგალითებია მოსწავლეთა საფეხურ 5-ზე სწავლების მოსამზადებლად განკუთვნილი პროგრამები, მოსწავლეთათვის, რომლებმაც თუმცა დაასრულეს ISCED-ის საფეხური 3, მაგრამ არ გაიარეს სწავლების კურსი, რომელიც მათ მისცემდა საფეხურ 5-ზე გადასვლის უფლებას, ანუ საუბარია მოსამზადებელ წინასააღიპლომო კურსებზე, ან მოკლე პროფესიულ კურსებზე. აქ შეიძლება ჩართული იყოს აგრეთვე განმეორებითი ციკლის პროგრამები.

კლასიფიკაციის კრიტერიუმები

74. როგორც წესი, საჭიროა საფეხური 3-ის წარმატებული დასრულება, ანუ საფეხური 3A ან 3B ნებისმიერი პროგრამის წარმატებით დასრულება, საფეხური 3C-ს შემთხვევაში – ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები. ამასთან, ISCED 3-ის წარმატებით დასრულების კრიტერიუმის ინტერპრეტირება უნდა ხდებოდეს პროგრამის ხანგრძლივობის კონტექსტში. მაგალითად, პროგრამა, რომელიც აგებულია ISCED 3-ის ორწლიან პროგრამაზე და გრძელდება 4 წელი, როგორც წესი, დაკლასიფიცირდება როგორც ISCED 4, იმის მიუხედავად, თუ წინამორბედი ორწლიანი პროგრამა ISCED 3 საფეხურზე ISCED 3-ის დასრულების თანაბრად არ ჩაითვლება.

პროგრამის შინაარსი სავარაუდოდ იქნება დეტალიზებული ან სპეციალიზებული, ზოგ შემთხვევაში პრაქტიკული მეცადინეობები უფრო რთული იქნება, ვიდრე შეთავაზებული საშუალო განათლების მეორე ეტაპზე, ამასთან იმ ორგანიზაციული გარემოსგან დამოუკიდებლად, სადაც პროგრამა ხორციელდება.

- მოსწავლეები, როგორც წესი, უფროსები არიან ვიდრე საშუალო განათლების მეორე ეტაპის პროგრამებში;
- ჩვეულებრივი ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვიდან 2 წლამდე სრული სასწავლო დღის სწავლების ეკვივალენტით.

დამატებითი პარამეტრები

75. ამ საფეხურით კლასიფიკაციისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს 3 პარამეტრი:

- დანიშნულება: შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა (იხ. პუნქტი 36);
- ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა სრული სასწავლო დღის ეკვივალენტით საფეხური 3-ის დაწყების შემდეგ;
- პროგრამების ორიენტაცია (იხ. პუნქტი 36).

დანიშნულება: შემდგომი განათლების ან საქმიანობის სახეობა

76. პირველი პარამეტრის შესაბამისად საფეხური 4 შეიძლება დაიყოს ასე:

- პროგრამები 4A, რომლებიც მოსწავლეებს ამზადებს ISCED 5-ზე გადასასვლელად;
- პროგრამები 4B, რომლებიც არ აძლევს საფეხურ 5-ზე დაშვების საშუალებას (პირველ რიგში განკუთვნილია შრომის ბაზარზე გასასვლელად).

ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა

77. ეს ხანგრძლივობა უნდა იყოს გათვლილი ISCED 3 საფეხურის დაწყებიდან.

პროგრამების ორიენტაცია

78. სამივე კატეგორია განსაზღვრულია ზემოთ პუნქტებში 56-59:

- ზოგადი განათლება;
- პროფესიულისწინა ან ტექნიკურისწინა განათლება;
- პროფესიული ან ტექნიკური განათლება.

დამატებითი პარამეტრების ურთიერთქმედება საფეხურ 4-ზე

დანიშნულება: შემდგომი განათლების ან საქმიანობი- სათვის	ISCED 4 საფეხურების პროგრამები							
	პროგრამები, რომლებიც იძლევა საფეხურ 5-ზე დაშვების ნაბარტვას				პროგრამები, რომლებიც არ იძლევა საფეხურ 5-ზე დაშვების ნაბარტვას			
	ISCED 4A-ს პროგრამები				ISCED 4B-ს პროგრამები			
პროგრამის ორიენტაცია	2 წლამდე	2 – 3 წელი	3 – 4 წელი	4 წელზე მეტი	2 წლამდე	2 – 3 წელი	3 – 4 წელი	4 წელზე მეტი
ზოგადი								
პროფესიულისწინა ან ტექნიკურისწინა								
პროფესიული ან ტექნიკური								

ერთობლივი ხანგრძლივობა უნდა გაითვალისწინოს ISCED 3 საფეხურის დაწყებიდან.

აგრეთვე შეიცავს:

79. ეს საფეხური შეიცავს მოწიფულთა განათლებას. მაგალითად, ამ საფეხურში შეიძლება ჩაირთოს ისეთი ტექნიკური კურსები ცალკეულ მომუშავე პირთათვის, როგორცაა კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მოსამზადებელი კურსები.

საფეხური 5 – უმაღლესი განათლების პირველი ეტაპი

(უშუალოდ არ უსწრებს წინ მოწინავე სამეცნიერო კვალიფიკაციას)

ძირითადი მახასიათებლები

80. ეს საფეხური შეიცავს უფრო ზედა დონის უმაღლესი განათლების პროგრამებს, ვიდრე ისინი, რომელიც შემოთავაზებულია ISCED 3 და 4 საფეხურებზე.
81. ყველა ხარისხი და კვალიფიკაცია ჯვარედინად კლასიფიცირდება პროგრამების ტიპის მიხედვით, დიპლომების (ხარისხების) ნაციონალური სტრუქტურის ან კვალიფიკაციის მიხედვით (იხ. ქვემოთ) და უმაღლესი განათლების დონეზე ერთობლივი ხანგრძლივობით.

კლასიფიკაციის კრიტერიუმები

82. ამ საფეხურით კლასიფიკაციისათვის საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:
- როგორც წესი, ამ საფეხურზე შესვლისთვის მინიმალური მოთხოვნა მდგომარეობს ISCED 3A ან 3B საფეხურების, ან ISCED 4A საფეხურის წარმატებით დასრულება;
 - საფეხური 5-ის პროგრამებს უშუალოდ არ მიეყვართ მაღალი სამეცნიერო კვალიფიკაციის მინიჭებისკენ (საფეხური 6);
 - ამ პროგრამებს უნდა ჰქონდეს ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა 2 წელი მაინც, დაწყებული საფეხური 5-დან.

დამატებითი კრიტერიუმები

83. ამ საფეხურით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია 3 დამატებითი პარამეტრის გათვალისწინება:
- პროგრამების სახეები, რომლებიც ყოფენ მათ, ერთის მხრივ, თეორიულ/სამეცნიერო – კვლევით/მოსამზადებელ, მაღალი კვალიფიკაციის პროფესიების დასაუფლებელ პროგრამებად, და მეორეს მხრივ, პრაქტიკული/ტექნიკური/პროფესიული მიმართულების პროგრამებად;
 - ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა განისაზღვრება სრული სასწავლო დღის ეკვივალენტით;
 - დიპლომების (ხარისხების) ან კვალიფიკაციების (პირველი, მეორე, მესამე ხარისხის, მეცნიერული კვლევები) პოზიცია ნაციონალურ სტრუქტურაში.

ერთადერთი საშუალება უმაღლესი განათლების მთელი სპექტრის მოცვისა არის სამი ცალ-ცალკე აღებული პარამეტრის შეთავსება. შეთავსების არჩევა დამოკიდებულია დასმულ ამოცანაზე.

84. პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს განსხვავება თეორიულ საფუძველზე პროგრამებს შორის, რომლებიც ან ამზადებს სამეცნიერო მუშაობისთვის (ისტორია, ფილოსოფია, მათემატიკა და ა.შ.), ან გზას უხსნის მაღალი კვალიფიკაციის პროფესიებისაკენ (მაგალითად: მედიცინა, სტომატოლოგია, არქიტექტურა და ა.შ.), აგრეთვე იმ პროგრამებისკენ, რომელსაც აქვს პრაქტიკული, ტექნიკური, პროფესიული მიმართულება. კვალიფიკაციის გაადვილების მიზნით პირველ სახეობას ეწოდება 5A, მეორეს კი – 5B.

85. ბევრ ქვეყანაში უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის ზრდასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს „გრძელ ნაკადებს“ და „მოკლე ნაკადებს“ შორის განსხვავებას. გრძელი ნაკადის პროგრამები უფრო თეორიულია და გზას უხსნიან გადაადგილებას სამეცნიერო კვლევების მაღალი დონის პროგრამებისკენ ან მაღალ კვალიფიკაციაზე ორიენტირებული პროფესიებისკენ. მოკლე ნაკადები მეტადაა ორიენტირებული პრაქტიკაზე.
86. ვინაიდან უმაღლესი განათლების პროგრამების საორგანიზაციო სტრუქტურა ქვეყნებში მნიშვნელოვან ვარიაციას განიცდის, არ არსებობს ერთიანი კრიტერიუმი, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ISCED 5A-სა და ISCED 5B-ს შორის ზღვრის დასადგენად. ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები მინიმალური მოთხოვნებია ISCED 5A-ს კვალიფიკაციისთვის, თუმცა პროგრამები, რომლებიც რომელიმე ერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს, ავტომატურად არ უნდა გამოირიცხონ. თუ პროგრამა შინაარსით სხვა ყველა ამ კრიტერიუმის შესაფერისი პროგრამების ანალოგიურია, ის უნდა იყოს კვალიფიცირებული საფეხურით 5A.
87. ISCED 5A საფეხურის პროგრამები უმაღლესი განათლების პროგრამებია, ძირითადად ტექნიკური სახის და განკუთვნილია საკმარისი კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად მოწინავე სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში და მაღალი კვალიფიკაციის პროფესიებში შედგენის უფლების მისაღებად. აღნიშნული პროგრამები უნდა აკმაყოფილებდეს საკმაო რაოდენობის კრიტერიუმებს:
- უნდა გააჩნდეს მინიმალური ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა (უმაღლესი განათლების დონეზე), რაც დასწრებული სწავლების 3 წლის ეკვივალენტურია, თუმცა როგორც წესი, ის გრძელდება 4 ან მეტი წელი. თუ დიპლომი დასწრებული სწავლების 3 წლის ეკვივალენტურ ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული, მას, როგორც წესი, წინ უძღვის სულ მცირე 13 წელი წინასწარი სწავლება. სისტემებისთვის, სადაც დიპლომი ენიჭება ჩასათვლელი ქულების დაგროვების საფუძველზე, საჭიროა შესადარისი დროისა და ინტენსივობის გათვალისწინება;
 - როგორც წესი, მასწავლებელთა შემადგენლობას უნდა გააჩნდეს მაღალი სამეცნიერო დონე;
 - პროგრამები შესაძლებელია უკავშირდებოდეს სამეცნიერო პროექტის დასრულებას ან დისერტაციის შესრულებას;
 - პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ განათლების დონე მაღალი კვალიფიკაციის პროფესიაში მუშაობისთვის ან მოწინავე სამეცნიერო კვლევებში შესაღწევად.
88. ISCED 5B საფეხურით მიღებული კვალიფიკაცია, როგორც წესი, უფრო დაბალია (სწავლების ნაკლები ხანგრძლივობა), ვიდრე 5A საფეხურით და ისინი კონცენტრირებულია პროფესიულ ჩვევებზე, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ბაზარზე გასვლასთან, თუმცა შესაბამის პროგრამებს შეუძლია მოიცვას ზოგიერთი თეორიული საფუძვლებიც.
89. ISCED 5B საფეხურის პროგრამების შინაარსს აქვს პრაქტიკული ორიენტაცია კონკრეტულ პროფესიაზე და ძირითადად მიმართულია პრაქტიკული ჩვევების და „ნოუ-ჰაუს“ შექმნაზე მონაწილეთა მიერ, რაც საჭიროა შესაბამისი პროფესიით ან დარგში, ან პროფესიების და საქმიანობის გარკვეულ კატეგორიებში მუშაობისთვის; ამგვარი პროგრამების წარმატებით დასრულება, როგორც წესი, მოსწავლეებს აძლევს კვალიფიკაციას, რომელზეც მოთხოვნაა შრომის ბაზარზე.
90. პროგრამა უნდა მივაკუთვნოთ საფეხურ 5B-ს, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- მეტადაა ორიენტირებული პრაქტიკაზე და პროფესიულად სპეციფიურია, ვიდრე ISCED 5A საფეხურის პროგრამები და არ იძლევა უშუალო დაშვების უფლებას სამეცნიერო კვლევების მოწინავე პროგრამებზე;
- შესაბამება სულ მცირე დასწრებული სწავლების ორ წელს ან მის ეკვივალენტს, მაგრამ, როგორც წესი, მისი ხანგრძლივობა ორიდან სამ წლამდეა. სისტემებისათვის, სადაც კვალიფიკაცია მიენიჭება ჩასათვლელი ქულების დაგროვებით, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს შესაბამისი დრო და ინტენსივობა;
- შესვლის მოთხოვნები შეიძლება შეიცავდეს ISCED 3B ან 4A საფეხურების კონკრეტული საგნობრივი სფეროების ფლობას;
- უზრუნველყოფს დაშვებას პროფესიისკენ.

ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა

91. უმაღლესი განათლების საწყისი პროგრამებისათვის ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა წარმოადგენს საფეხური 5-დან მოყოლებული ამ პროგრამებით გათვალისწინებული დასწრებული სწავლების თეორიულ ეკვივალენტს.

92. პროგრამებისათვის, რომლებიც ითხოვს უმაღლესი განათლების სხვა პროგრამების დასრულებას (იხ. ქვემოთ დიპლომების და კვალიფიკაციების ნაციონალური სტრუქტურა) ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა უნდა გაითვალისწინოს პროგრამის მინიმალური შესასვლელი მოთხოვნების (ანუ წინამორბედი დასწრებული უმაღლესი განათლების ეკვივალენტი წლებში) და დასწრებული სწავლების პროგრამის ხანგრძლივობის დაჯამებით. დიპლომებისათვის და კვალიფიკაციებისათვის, რომლის დასწრებული სწავლების ეკვივალენტი უცნობია (ანუ სწავლების კურსები, რომლებიც განკუთვნილია სპეციალურად მოქნილი და სადამოს მეცადინეობებისათვის) ერთობლივი ხანგრძლივობა უნდა გაითვალისწინოს სწავლების შედარებით ტრადიციული პროგრამების, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამისი დიპლომებისა და კვალიფიკაციების მიღებას განათლების შინაარსის ანალოგიური დონით, საფუძველზე.

93. განსახილველ კატეგორიებს ექნება ხანგრძლივობა:

- 2-დან 3 წლამდე (განსაკუთრებით ISCED 5B საფეხურისათვის);
- 3-დან 4 წლამდე;
- 4-დან 5 წლამდე;
- 5-დან 6 წლამდე;
- 6-დან და ზევით.

დიპლომების (ხარისხების) და კვალიფიკაციების ნაციონალური სტრუქტურა

94. ეს პარამეტრი ჯვარედინად კლასიფიცირდება როგორც 5A საფეხურთან, ასევე ISCED 5B საფეხურთან უმაღლესი განათლების ნაციონალურ სტრუქტურაში მათი განლაგების გათვალისწინებით რომელიმე ქვეყნის ჩარჩოებში.

95. მთავარი მიზეზი, რომლითაც დიპლომებისა და კვალიფიკაციების ნაციონალური სტრუქტურა ჩართულია როგორც ცალკე პარამეტრი, არის ის, რომ მათი მინიჭება ცალკეულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი გარდამავალი ეტაპია განათლებაში ან შრომის ბაზარზე. მაგალითად, A ქვეყანაში სტუდენტისათვის, რომელიც ამთავრებს

სწავლების 3 წლიან პროგრამას ბაკალავრის ხარისხზე, ხელმისაწვდომი იქნება შემდგომი განათლებისთვის მეცადინეობებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრი მაშინ, როდესაც ასეთივე სტუდენტი, რომელიც სწავლობს B ქვეყანაში (რომელიც არ გამოიწვევს პირველ და მეორე საუნივერსიტეტო ხარისხებს) მიიღებს შრომით ბაზარზე სამუშაო ძალის მქონე მოთხოვნილების კვალიფიკაციებს მხოლოდ სრული 4 - ან 5 წლიანი წინასააღიპლომო პროგრამის დასრულების შემდეგ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროგრამის შინაარსი იქნება A ქვეყნის მეორე ხარისხის (მაგისტრის) პროგრამის ანალოგიური.

96. „განლაგება“ (პირველი, მეორე ან შემდგომი დონე, მეცნიერული კვლევები) დიპლომების ან კვალიფიკაციების სტრუქტურაში განისაზღვრება დიპლომების შიდა იერარქიის საფუძველზე განათლების სისტემის ჩარჩოებში. მაგალითად, პირველი დიპლომი (სამეცნიერო ხარისხი) ან კვალიფიკაცია თეორიულ პროგრამებში (პროგრამა 5A-ს ჯვარედინი კვალიფიკაცია „თეორიული საფუძვლის“ სახეობისა „პირველ“ დიპლომთან ან პირველ კვალიფიკაციასთან ნაციონალურ სტრუქტურაში) აუცილებლად უპასუხებს ყველა ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმს „თეორიულ საფუძველზე“ პროგრამასთან მიმართებაში და გზას უხსნის განათლების დარგში ან შრომის ბაზარზე მაღალი კვალიფიკაციისაკენ ამ ტიპის პროგრამის ჩარჩოებში. იმ ქვეყნებისთვის, სადაც არის ამგვარი სამეცნიერო ხარისხები (დოქტორის დონემდეც კი), როგორცაა ფილოსოფიის მაგისტრი და რომელთაც სურთ, რომ ის მკვეთრად იყოს გამოყოფილი საერთაშორისო სტატისტიკაში, გათვალისწინებულია სამეცნიერო ხარისხი.
97. როდესაც პროგრამა ორგანიზებულია „თეორიულ საფუძველზე“ და შემოთავაზებულია შემდგომი კვალიფიკაციები, როგორც წესი, ბოლო კვალიფიკაცია ხელმისაწვდომს ხდის საფეხურ 6-ს, თუმცა ეს პროგრამა 5A საფეხურს მიეკუთვნება.
98. „ბაკალავრის“ ხარისხი ბევრ ინგლისურენოვან ქვეყანაში, „დიპლომი“ ბევრ გერმანულენოვან ქვეყანაში და „ლისანსი“ (Licence) ბევრ ფრანგულენოვან ქვეყანაში პასუხობს „თეორიულ საფუძველზე“ პირველი პროგრამებისთვის კრიტერიუმთა შინაარსს. თეორიულ საფუძველზე მეორე და უფრო მაღალი დონის პროგრამები (მაგალითად მაგისტრის) კლასიფიცირებული იქნება მოწინავე სამეცნიერო-კვლევით კვალიფიკაციებისაგან, რომლებიც დაიმკვიდრებენ საკუთარ ადგილს ISCED 6-ში განცალკევებით (იხ. ქვემოთ).
99. დიპლომები (ხარისხები) ან კვალიფიკაციები სხვადასხვა ციფრული რანჟირებით ორ ქვეყანაში განათლების შინაარსით შეიძლება ეკვივალენტური იყოს. მაგალითად, პროგრამები, რომლებსაც მიეყვართ „Graduate“ (კურსდამთავრებული) ხარისხისაკენ ან ბევრ ინგლისურენოვან ქვეყანაში მეორე საფეხურისკენ, უნდა დაკლასიფიცირდეს საფეხურზე 5 ისევე, როგორც პირველი „გრძელი“ დიპლომები ბევრ გერმანულენოვან ქვეყანაში. მხოლოდ დიპლომების ნაციონალური სტრუქტურის უმაღლესი განათლების სხვა შესაბამის პარამეტრებთან შეჯერების საფუძველზე, როგორცაა სწავლების ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა და პროგრამის ორიენტაცია, შეიძლება საკმარისი ინფორმაციის ფლობა განათლების ერთნაირი შინაარსის დიპლომებისა (ხარისხების) და კვალიფიკაციების დაჯგუფებისათვის.

მე-5 საფეხურზე სამი დამატებითი პარამეტრის ურთიერთქმედება

ერთობლივი თეორიული ხანგრძლივობა უმაღლესი განათლების დონეზე	საფეხური 5				
	პროგრამები 5A			პროგრამები 5B	
	პირველი ხარისხი	მეორე და შემდგომი ხარისხები	მეცნიერული კვლევები	პირველი კვალიფიკაცია	მეორე კვალიფიკაცია
2 ან 3 წელზე ნაკლები					
3 და 4 წელზე ნაკლები					
4 და 5 წელზე ნაკლები					
5 და 6 წელზე ნაკლები					
6 წელი და მეტი					

აგრეთვე შეიცავს:

100. ეს საფეხური შეიცავს ყველა სამეცნიერო-კვლევით პროგრამას, რომელსაც არ მოიცავს სადოქტორო ხარისხი, მაგალითად, მაგისტრის ხარისხის ნებისმერი სახეობა.
101. ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესი განათლების დამწყები მოსწავლეები, ხვდებიან უშუალოდ იმ ნაკადზე, რომელიც უზრუნველყოფს მოწინავე სამეცნიერო-კვლევით კვალიფიკაციას. ამ შემთხვევაში პროგრამის ნაწილი, რომელიც კონცენტრირდება დაწინაურებულ კვლევებზე, უნდა იქნეს კვალიფიცირებული საფეხური 6-ის მიხედვით, დაწყებითი წლები კი – საფეხური 5-ის მიხედვით.
102. მოწიფულთა სწავლების პროგრამები, რომლებიც შინაარსით ISCED 5 პროგრამების ეკვივალენტურია, შეიძლება ჩართული იქნეს ამ საფეხურში.

საფეხური 6 – უმაღლესი განათლების მეორე ეტაპი

(რომელიც გამიზნულია მოწინავე სამეცნიერო კვალიფიკაციის მისაღებად)

ძირითადი მახასიათებლები

103. ეს საფეხური გამოყოფილია უმაღლესი განათლების პროგრამებისთვის, რომლებიც მიმართულია მაღალი კვალიფიკაციის მინიჭებისაკენ მეცნიერული კვლევების სფეროში. ამგვარად, პროგრამები მოწინავე და ორიგინალური კვლევებისადმია მიძღვნილი და არ ეფუძნება მხოლოდ კურსების გავლას.

კლასიფიკაციის კრიტერიუმები

104. ამ საფეხურის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:

ძირითადი კრიტერიუმი

როგორც წესი, მოითხოვება ამა თუ იმ სახისა და იმგვარი ხარისხის დისერტაციის დაცვა, რომელიც იძლევა მისი გამოქვეყნების საშუალებას და არის ორიგინალური გამოკვლევების შედეგი, ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს ცოდნის გაფართოებაში.

დამხმარე კრიტერიუმი

პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს საპროფესორო-სამასწავლებლო მუშაობისათვის დაწესებულებებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ISCED 5A პროგრამებს, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი თანამდებობებისთვის მუშაკებს სამთავრობო დაწესებულებებში, მრეწველობაში და ა.შ.

დამატებითი პარამეტრები

105. იმის გამო, რომ ამ საფეხურის მასშტაბი ძალიან შეზღუდულია, დამატებითი პარამეტრები საჭირო არ არის.

აგრეთვე შეიცავს:

106. მოწინავე კვლევებზე კონცენტრირებულ ნაწილს იმ ქვეყნებში, სადაც მოსწავლეები, რომლებიც იწყებენ რა უმაღლეს განათლებას, შედიან უშუალოდ დაწინაურებული კვლევების პროგრამებზე (იხ. პუნქტი 101).

II. განათლების გაფართოებული ჯგუფები და სფეროები

107. განათლების დარგები ISCED-ის პირვანდელ ვარიანტთან შედარებით შეცვლილია, რათა მათ შორის აღმოვხვრილ იქნეს დუბლირება და გაფართოებულია, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს ახალი სფეროების ჩართვა. ახლა ISCED-ი ითვლის განათლების 25 სფეროს, მაშინ როდესაც პირველი ვარიანტი ითვლიდა 21 სფეროს. კიდევ ერთი სიახლეა „გაფართოებული ჯგუფები“-ს სახით, რომლებიც შედგება მსგავსი მახასიათებლების მქონე განათლების სფეროებისაგან. ამგვარი გაფართოებული ჯგუფის მაგალითია „ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“, სადაც შედის განათლების ისეთი სფეროები როგორცაა მედიცინა, სამედიცინო მომსახურება, ავადმყოფთა მოვლა, სტომატოლოგიური მომსახურება და სოციალური უზრუნველყოფა.
108. აგრეთვე აუცილებელია ითქვას ის, რომ იუნესკო-ს განზრახული აქვს ჩართოს ISCED-ში განათლების ახალი სფეროები მოთხოვნილების გაჩენისთანავე. ამასთან დაკავშირებით წვერი სახელმწიფოები იქნებიან ინფორმირებულნი იმ მიზნით, რომ დისციპლინათაშორისი და მრავალდისციპლინარული პროგრამები დაკლასიფიცირდეს უმრავლესობის წესის შესაბამისად, ანუ განათლების სფეროს შესაბამისად, რომელზეც მოდის მოსწავლეთა სწავლების დროის უდიდესი ნაწილი.
109. კოდების ჩამონათვალი, რომელიც შეიცავს იმის აღწერას თუ როგორ უნდა დაჯგუფდეს საგანმანათლებლო სასწავლო დისციპლინები განათლების სხვადასხვა სფეროებად, მოყვანილი იქნება ISCED-ის გამოყენების სახელმძღვანელოში.

საერთო პროგრამები

01 საბაზო პროგრამები

საბაზო საერთო პროგრამები: დაწყებითამდელი, სკოლამდელი, ელემენტარული დაწყებითი, საშუალო და ა.შ.

08 წერა-კითხვის ცოდნა და ანგარიშის ჩვევები

მარტივი და ფუნქციური წერა-კითხვა, ანგარიშის ჩვევები

09 პიროვნების განვითარება

პირადი ჩვევების განვითარება, ანუ ბიჰევიორისტული უნარების, გონებრივი ჩვევების, თვითორგანიზაციის, ცხოვრებისეული პროგრამების ორიენტაცია.

განათლება

14 მასწავლებელთა მომზადება და პედაგოგიური მეცნიერება

მასწავლებელთა მომზადება სკოლამდელი დაწესებულებებისთვის, საბავშვო ბაღების, დაწყებითი სკოლებისთვის პროფესიული საგნების მიხედვით, პრაქტიკულ საგნებში, მოწიფულთა განათლება, ინსტრუქტორთა მომზადება მასწავლებლებთან და ინვალიდ ბავშვებთან მუშაობისთვის. მასწავლებელთა ზოგადი და სპეციალიზირებული მომზადების პროგრამები.

პედაგოგიური მეცნიერება: არაპროფესიულ და პროფესიულ საგნებში სასწავლო პროგრამების დამუშავება. განათლების შეფასება, გამოცდებისა და ტესტების ჩატარება, გამოკვლევები განათლების დარგში, სხვა პედაგოგიური მეცნიერებები.

ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება

21 ხელოვნება

სახვითი ხელოვნება: ხატვა, ფერწერა, სკულპტურა;

სამემსრულებლო ხელოვნება: მუსიკალური, დრამატული, საცეკვაო, საცირკო;

გრაფიკული და აუდიოვიზუალური ხელოვნება: ფოტოგრაფია, მუსიკალურ ნაწარმოებთა წარმოება, რადიო- და სატელევიზიო გადაცემების წარმოება, ბეჭდვითი და საგამომცემლო საქმე; დიზაინი; ხელოვნები.

22 ჰუმანიტარული მეცნიერებები

რელიგია და თეოლოგია;

უცხო ენები და კულტურები: ცოცხალი და „მკვდარი“ ენები და ლიტერატურა ამ ენებზე, ცალკეული დარგების შესწავლა;

მშობლიური ენები: საერთო გამოყენების და ადგილობრივი ენა და ლიტერატურა ამ ენებზე;

სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები: ზეპირი და წერიტი თარგმანი, ლინგვისტიკა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, თეოლოგია, ფილოსოფია, ეთიკა.

სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი

31 სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებები

ეკონომიკა, ეკონომიკის ისტორია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, დემოგრაფია, ანთროპოლოგია (გარდა ფიზიკური ანთროპოლოგიისა), მსოფლიოს პრობლემებისა და კონფლიქტების შესწავლა, ადამიანის უფლებები.

32 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

ჟურნალისტიკა;

საბიბლიოთეკო საქმის ტექნიკური და სამეცნიერო ასპექტები;

მუზეუმის და ანალოგიური საცავების ტექნიკური ასპექტები;

საბუთმცოდნეობა;

საარქივო მეცნიერებები.

34 ბიზნესი და მართვა

საცალო ვაჭრობა, მარკეტინგი, გაყიდვები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უძრავი ქონება;

ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე, კაპიტალდაბანდებათა ანალიზი;

საბუღალტრო საქმე, აუდიტი, საბუღალტრო აღრიცხვა;

მენეჯმენტი, სახელმწიფო ორგანოების მართვა, არასახელმწიფო ორგანოების მართვა, კადრების მართვა;

სამდივნო და საოფისე მუშაობა.

38 სამართალი

ადგილობრივი მოსამართლეები, ნოტარიუსები, სამართალი (ზოგადი, საერთაშორისო, შრომის, სადაზღვევო და სხვა), იურისპრუდენცია, სამართლის ისტორია.

მეცნიერება

42 მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ

ბიოლოგია, ბოტანიკა, ბაქტერიოლოგია, ტოქსიკოლოგია, მიკრობიოლოგია, ზოოლოგია, ენტომოლოგია, ორნიტოლოგია, გენეტიკა, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, სხვა მომიჯნავე მეცნიერებები, გარდა სამკურნალო-სამედიცინო და ვეტერინარული მეცნიერებებისა.

44 ფიზიკური მეცნიერებები

ასტრონომია და კოსმოლოგია, ფიზიკა, სხვა მომიჯნავე საგნები; ქიმია, სხვა მომიჯნავე საგნები; გეოლოგია, გეოფიზიკა, მინერალოგია, ფიზიკური ანთროპოლოგია, ფიზიკური გეოგრაფია და სხვა მეცნიერებები დედამიწის შესახებ, მეტეოროლოგია და სხვა მეცნიერებები ატმოსფეროს შესახებ, კლიმატის კვლევის ჩათვლით, ოკეანოგრაფია, ვულკანოლოგია, პალეოეკოლოგია.

46 მათემატიკა და სტატისტიკა

მათემატიკა, გამოთვლითი მეცნიერებები, ციფრული ანალიზი, აქტუარული მეცნიერება, სტატისტიკა და სხვა მომიჯნავე დარგები.

48 კომპიუტერული საქმე

კომპიუტერული მეცნიერებები: სისტემების პროექტირება, კომპიუტერული პროგრამირება, მონაცემთა დამუშავება, ქსელები, მოქმედი სისტემები – მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება (კომპიუტერული მოწყობილობის დამუშავება უნდა იქნეს კლასიფიცირებული საინჟინრო დარგების ჩარჩოებში).

საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები

52 ინჟინერია და საინჟინრო საქმე

საინჟინრო ხაზვა, მექანიკა, ლითონდამამუშავება, ელექტროტექნიკა, ტელეკომუნიკაცია, ენერგეტიკა და ქიმიური ინჟინერია, ავტომობილების მომსახურება, საინჟინრო პროექტირება.

54 საწარმოო და დამამუშავებელი დარგები

კვების პროდუქტებისა და სასმელების, ქსოვილის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმის, მასალების (ხის მასალა, ქაღალდი, პლასტმასი, მინა და ა.შ.), წარმოება, სამთო საქმე და წიაღისეულის რეწვა.

58 არქიტექტურა და მშენებლობა

არქიტექტურა და ქალაქის დაგეგმარება: სტრუქტურული არქიტექტურა, ლანდშაფტური არქიტექტურა, საზოგადოებრივი დაგეგმარება, კარტოგრაფია;

სამშენებლო სამუშაოები, მშენებლობა;

სამოქალაქო მშენებლობა.

სოფლის მეურნეობა

62 სასოფლო, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა

სოფლის მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა და საქონლის გამოზრდა, აგრონომია, მესაქონლეობა, მეხილეობა და მებაღეობა, სატყეო მეურნეობა და ტყის პროდუქციის წარმოების მეთოდები, ბუნებრივი პარკები, ველური ბუნება, თევზჭერა, თევზჭერის მეცნიერება და ტექნოლოგია.

64 ვეტერინარია

ვეტერინარული მედიცინა, ვეტერინარული მომსახურება.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

72 ჯანდაცვა

მედიცინა: ანატომია, ეპიდემიოლოგია, ციტოლოგია, ფიზიოლოგია, იმუნოლოგია და იმუნოჰემატოლოგია, პათოლოგია, ანესთეზიოლოგია, პედიატრია, მენ-გინეკოლოგია, შინაგან ორგანოთა მედიცინა, ქირურგია, ნევროლოგია, ფსიქიატრია, რადიოლოგია, ოფთალმოლოგია;

სამედიცინო სამსახურები: ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახურები, ჰიგიენა, ფარმაცია, ფარმაკოლოგია, თერაპევტიკა, რეაბილიტაცია, პროტეზირება, ოპტომეტრია, კვება;

ავადმყოფის მოვლა: ავადმყოფთა ზოგადი მოვლა, მეანობა;

სტომატოლოგიური მომსახურება: სტომატოლოგიური დახმარება, სტომატოლოგიური ჰიგიენა, ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება სტომატოლოგიურ კაბინეტში, ოდონტოლოგია.

76 სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური მომსახურება: ინვალიდთა მოვლა, ბავშვების მოვლა, ახალგაზრდული სამსახურები, გერონტოლოგიური სამსახურები;

სოციალური მუშაობა: კონსულტაციები და ა.შ., სხვა დაჯგუფებებში ჩართუვლი.

სამსახურები

81 მომსახურების სფერო

სასტუმროების მომსახურება და კვების სფერო, მოგზაურობა და ტურიზმი, სპორტი და დასვენება, საპარიკმახეროები, კოსმეტიკური სალონები და მოსახლეობის სხვა მომსახურება: ტანსაცმლის წმენდა, სამრეცხაოები, ქიმიწმენდები, კოსმეტიკური სამსახურები, მეცნიერებები ყოფა-ცხოვრების შესახებ.

84 ტრანსპორტი

საზღვაო საქმე, გემების ოფიცერთა შემადგენლობა, ნაოსნობა, საფრენი ეკიპაჟები, ავიადისპეტჩერები, სარკინიგზო გადაზიდვები, ავტოსაგზაო გადაზიდვები, საფოსტო სამსახურები.

85 გარემოს დაცვა

გარემოს შენარჩუნება, კონტროლი და დაცვა, საჭაერო და წყლის გარემოს დაბინძურების კონტროლი, უსაფრთხოების ტექნიკა სამუშაო ადგილებზე.

86 უსაფრთხოების სამსახურები

საკუთრების და მოქალაქეთა დაცვა: პოლიციის მუშაობა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები, კრიმინალისტიკა, სახანძრო დაცვა და ბრძოლა ხანძრებთან, სამოქალაქო უსაფრთხოება; სამხედრო საქმე.

უცნობი და დაუზუსტებელი კატეგორია

(ეს კატეგორია, როგორც ასეთი, არ შედის მოცემულ კლასიფიკაციაში, მაგრამ პოზიცია „99“ მონაცემთა შეგროვებისას საჭიროა განათლების „უცნობი და დაუზუსტებელი“ სფეროებისათვის.)

განმარტებითი ლექსიკონი

კურსი

ISCED-ის მიზნებისთვის კურსი გაიგება როგორც სასწავლო დისციპლინების განსაზღვრული წრის მიხედვით მეცადინეობების დაგეგმილი სერია სასწავლო დისციპლინების ათვისების ან ჩვევების შეძენის მიზნით, რაც შემოთავაზებულია სპონსორი დაწესებულების მიერ და რომელშიც მონაწილეობს ერთი ან მეტი მოსწავლე.

ფორმალური განათლება (თავდაპირველი განათლება ან რეგულარული სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება)

განათლება, რომელიც სისტემის ჩარჩოებშია მოქცეული, მოიცავს სკოლებს, კოლეჯებს, უნივერსიტეტებს და სხვა ოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც როგორც წესი, წარმოქმნიან განათლების უწყვეტ „კიბეს“ სრული სასწავლო დღის განმავლობაში ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის, როგორც წესი, იწყება 5-7 წლის ასაკში და გრძელდება 20-25 წლამდე. ზოგიერთ ქვეყანაში ამ „კიბის“ ზედა ნაწილში არსებობს ორგანიზებული პროგრამები, რომლებიც ნაწილობრივ შეთავსებულია დასაქმებასთან წარმოებაში ან ნაწილობრივ მონაწილეობასთან სასკოლო ან საუნივერსიტეტო განათლების ჩვეულებრივ სისტემაში: ამგვარ სისტემებს აღნიშნულ ქვეყნებში ეწოდება „დუალისტური სისტემები“, ან სხვა ამ ტერმინის ეკვივალენტური სახელწოდება.

არაფორმალური განათლება

ნებისმიერი ორგანიზებული და მემკვიდრეობითობის მქონე საგანმანათლებლო ღონისძიება, რომელიც ზუსტად არ შეესაბამება ფორმალური განათლების ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებას. ამიტომ არაფორმალური განათლება შეიძლება განხორციელდეს როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩარჩოებში, ასევე მის გარეთ და მოიცავს ყველა ასაკის პირს. ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული პირობების მიხედვით, ამგვარი განათლება შეიძლება მოიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც გათვალისწინებულია წერა-კითხვის გავრცელებისთვის მოწიფულთა შორის, საბაზო განათლებისთვის სკოლაში ჩაუბმელი ბავშვებისთვის, ცხოვრებისეული ჩვეებისა და შრომითი საქმიანობის ჩვევების სწავლებისთვის და ზოგადი კულტურის პროგრამებს. არ არის აუცილებელი, რომ არაფორმალური განათლების პროგრამები მოექცეს „კიბის“ სისტემაში და მათ შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ხანგრძლივობა.

განსაკუთრებული მოთხოვნილებების მქონე მოსწავლეთა განათლება

საგანმანათლებლო მოღვაწეობა და მხარდაჭერა, რომლის მიზანია სპეციალურ საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ტერმინმა „განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა მქონე მოსწავლეების განათლება“ შეცვალა სხვა ტერმინი - „სპეციალური განათლება“. ადრე არსებული ტერმინი გაგებული იყო უმთავრესად როგორც ფიზიკური და გონებრივი ნაკლოვანებების მქონე ბავშვების განათლება, რომელიც ხორციელდება სპეციალურ სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში, ისინი განსხვავდება სასკოლო ან საუნივერსიტეტო განათლების ჩარჩოებში მყოფი ჩვეულებრივი ტიპის სასწავლო დაწესებულებებისაგან. ამჟამად ბევრ ქვეყანაში ფიზიკური და გონებრივი ნაკლოვანებების მქონე ბავშვების დიდი ნაწილი სინამდვილეში იღებს განათლებას ჩვეულებრივ სასწავლო დაწესებულებებში. უფრო მეტიც, „განათლების დარგში განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა მქონე ბავშვების“ კონცეფცია მნიშვნელოვნად სცილდება იმ მოსწავლეთა კონტინენტის ფარგლებს, რომლებიც შეიძლება ჩაერთონ ფიზიკური ნაკლოვანებების მქონეთა კატეგორიაში და მოიცავს მათ,

ვინც იძულებულია წავიდეს სკოლიდან სულ სხვადასხვა მიზეზთა გამო, რამაც, როგორც ცნობილია, შეიძლება ხელი შეუშალოს ბავშვის ოპტიმალურ განვითარებას. ასე თუ ისე, ეს ახლა უფრო ფართო გაგებით განმარტებადი ბავშვების ჯგუფი გრძნობს დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებას, რაც დამოკიდებულია იმაზე თუ რა მოცულობით შეუძლია სკოლებს საკუთარი სასწავლო პროგრამების ადაპტირება, სწავლება და საკუთარი მოღვაწეობის ორგანიზება და/ან დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა, რომ მოახდინოს ამგვარი მოსწავლეებისთვის ქმედითი და ეფექტური სწავლების სტიმულირება.

მოწიფულთა განათლება (რომელიც გრძელდება ან განახლებადია)

ორგანიზებული საგანმანათლებლო პროცესის ჩარჩოებით შემოფარგლული მთელი კომპლექსი მისი შინაარსის, დონისა და სწავლების მეთოდებისგან დამოუკიდებლად, ფორმალური ან სხვაგვარი, დამოუკიდებლად იმისაგან არის თუ არა ეს პროცესი გაგრძელებადი, თუ მიმდინარეობს სკოლებში, კოლეჯებში და უნივერსიტეტებში დაწყებითი განათლების ნაცვლად, ან მოწაფეობის სახით, რომლის წყალობით მოწიფული პირები, იმაღლებენ საკუთარ ტექნიკურ ან პროფესიულ კვალიფიკაციას, ივითარებენ უნარებს, იმდიდრებენ ცოდნას იმ მიზნით, რათა:

- დაასრულონ ფორმალური განათლების გარკვეული საფეხური;
- შეიძინონ ცოდნა და ჩვევები ახალ სფეროში;
- მოახდინონ მიღებული ცოდნის განახლება ან მეხსიერების გადაიხალისება რომელიმე კონკრეტულ სფეროში.